ჯაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№102 (997) 24 - 26 ოქტომბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„არ მიყვარს პოლიტიკური ზღაპრები!“

გვ. 3

დაიშლება თუ არა კოალიცია, აიღებს თუ არა რევანშს ნაციონალური მოძრაობა და რატომ მიდის პოლიტიკიდან **ჯანა ჯალაძე**

სააკაშვილი ბრალდებულია!

გვ. 2

ივანე მერაბიშვილს, ერეკლე კოდუას, გია სირაძეს

ვალერი გელაშვილის თავდასხმის ფაქტზე გაასამართლებენ

საქართველოში ოქროს მოპოვება შემცირდა

კომპანია „არ ემ ჯი“ მზადაა, ეკონომიკის ექსპერტთა შენიშვნები გაითვალისწინოს გვ. 9

უცხოელი პროკურორების დასკვნა

ვინ გაუცრუა იმედი ირაკლი ჭრიპოლსკის

რატომ აკრიტიკებს ხელისუფლებას და როგორ „წაართვა“ პიჯაკი გიორგი მარგველაშვილმა დუშეთის მაჟორიტარს გვ. 4

თიბისი ბანკს სამი ახალი ვიცე-პრეზიდენტი ჰყავს

თიბისი ბანკი TBC BANK

გიორგი თხელიძე, ნიკოლოზ ქურდიანი და დავით ნიკლაური მსოფლიოს წამყვანი საფინანსო ინსტიტუტების ტოპ-მენეჯერები არიან გვ. 8

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

სტუდენტებს ამერიკაში სწავლას დაუფინანსებს

„აზალეპტინი“ — პატიმრების კონტროლის საშუალება

გვ. 8

სექსუალური დისფუნქცია, ჰალუცინაციები, დამბლა, სუიციდი — ფსიქოტროპული პრეპარატების მიღების შედეგი

„წითელი პარასკევი“ გლდანის ციხეში

ვინ იყო წითური იგორ მამაი, რას ნიშნავს პატიმრების „დაშლა“ და რატომ ეძახდნენ ოქრუაშვილს „ბოროს“

გვ. 6

პატიმრის დღიური

უცხოელი პროკურორების დასკვნა: სააკაშვილი ბრალდებულია!

გიორგი იაშვილი

მას შემდეგ, რაც საქართველოში ხელისუფლების ცვლილება მოხდა და ძველი, გახმაურებული საქმეების ხელახლა გამოძიება დაიწყო, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ღიად აცხადებდნენ, პოლიტიკური დევნა დაიწყოო. ამტკიცებდნენ, ამჟამინდელი ხელისუფლება შეგნებულად ცდილობს წარმოჩენას, თითქოს 2012 წლამდე ქვეყნის სათავეში კრიმინალები იყვნენ და ამიტომ, ყოფილი ხელისუფლების უმაღლეს პირებს პოლიტიკური სარჩულით დევნის. სწორედ ამიტომ, როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, საქართველოს მთავარი პროკურატურის მოწვევით, 22 ივლისს თბილისში ჩამოვიდა მსოფლიოში აღიარებული სისხლის სამართლის პრაქტიკოს სპეციალისტთა ჯგუფი, იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის მთავარი პროკურორის მოადგილე სერ ჯეფრი ნაისი, ისრაელის ყოფილი სახელმწიფო პროკურორი მოშე ლადორი და ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების ყოფილი დირექტორი პოლ კაფი.

შესაბამისად, მთავარი პროკურატურის ინიციატივით მოწვეული სპეციალისტებისგან შეიქმნა პროკურატურის მრჩეველთა საერთაშორისო ჯგუფი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს, ქართველი პროკურორებისთვის მათი გამოცდილებისა და სამართლის სფეროში არსებული მსოფლიო პრაქტიკის გაზიარება, რაც მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების წარმოებისა და პროცესის გამჭვირვალობისთვის. გარდა იმისა, რომ მოწვეული პროკურორები რჩევებს აძლევენ ქართველ კოლეგებს, იმასაც ადევნებენ თვალს, რამდენად სამართლიანად მიმდინარეობს ამ გახმაურებული საქმეების გამოძიება. აღნიშნული კონტროლი არამარტო საზოგადოებისთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ ყოფილი ხელისუფლებისთვისაც. ამ ფონზე, გასაკვირი არაა, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურა მოწვეულ სპეციალისტებს მადლობას უცხადებს და მათთან თანამშრომლობას მომავალშიც განაგრძობს.

პროკურატურის მრჩეველთა საერთაშორისო ჯგუფმა დაასრულა მუშაობა **„2005 წლის 14 ივლისს ვალერი გელაშვილზე განხორციელებულ თავდასხმის საქმესთან დაკავშირებით და მოამზადა დასკვნა. საქმის შესწავლის პროცესში უცხოელ სპეციალისტებს პროკურატურის მიერ მიეწოდათ საგამოძიებო მასალები, მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტიზის დასკვნები და სხვა მტკიცებულებები. მათზე დაყრდნობით, პროკურატურის მრჩეველთა საერთაშორისო ჯგუფის მიერ საქმეზე მომზადდა წინასწარი დასკვნა, რომლის თანახმად: „გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებები და მასალები სამართლებრივად და ფაქტობრივად საკმარისია იმისთვის, რომ მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ერეკლე კოდუასა და გია სირაძის მიმართ გაგრძელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, ვალერი გელაშვილის მიმართ 2005 წლის 14 ივლისს განხორციელებულ თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით და საქმე წარიმართოს სასამართლოში“.**

იმავე დასკვნაში აღნიშნულია, რომ უცხოელი პროკურორები ქართველი კოლეგების მიმართ ვალერი გელაშვილის საქმის გამოძიების წარმოებასთან დაკავშირებით კმაყოფილებას გამოთქვამენ. აღნიშნავენ, რომ საგამოძიებო პროცესი კანონის სრული დაცვით მიმდინარეობს და შესაბამისობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან.

ეს კი მინიმუმ იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურა კანონის სრული დაცვით მოქმედებს, არანაირ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას ადგილი არ აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს იმის მტკიცება მოუწევთ, რომ საერთაშორისოდ აღიარებული პროკურორები ტყუიან და ყოფილ მაღალჩინოსნებს პოლიტიკური ნიშნით ისინიც დევნიან, რაც, რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზული იქნება.

თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანის სამმხრივი თანამშრომლობის ფორმატში ერთობლივი წვრთნები ჩატარდება

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსთან, არმიის გენერალ ნეჯდეთ ოზელთან გამართულ შეხვედრაზე აღინიშნა.

მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობები და თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილეს.

როგორც საქართველოს მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საქართველო-თურქეთს შორის არსებობს მრავლისმომცველი თანამშრომლობის გეგმა და ინტენსიური თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებით: **„არაერთხელ გვითქვამს და რაც მთავარია, საქმით დაგვიმტკიცებია, რომ თურქეთი საქართველოს არა მხოლოდ მეზობელი, არამედ მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორია“.**

პრემიერმა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის კუთხით, თურქეთის მაქსიმალური ჩართულობის იმედი გამოთქვა და საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების საქმეში თურქეთის რესპუბლიკის წვლილზე გაამახვილა ყურადღება.

აღინიშნა სამხედრო განათლების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი. მხარეებმა რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე იმსჯელეს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თურქეთის შეიარაღებული ძალების სარდალს ალიანსში გაწევრიანების გზაზე საქართველოს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

„პირველი“

შინდისში დაღუპული მეომრების ოჯახის წევრები მთავრობას მონუმენტისთვის საჭირო თანხას სთხოვენ

2008 წლის აგვისტოს ომში, სოფელ შინდისში დაღუპული მეომრების ოჯახის წევრები მთავრობას 17 გმირის სახელის უკვდავსაყოფად მონუმენტისთვის საჭირო თანხას სთხოვენ. ამის შესახებ, შინდისში დაღუპული ილია შეყლაშვილის მამამ ვაჟა შეყლაშვილმა, დაღუპული ალექსანდრე ონიანის დამ ელენე ონიანმა და მოქანდაკე ნუგზარ ჭავჭავაძემ საგანგებო პრესკონფერენციაზე ისაუბრეს.

ვაჟა შეყლაშვილის თქმით, შინდისში, ტრაგედიის ადგილას ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის პირადი ხარჯებით ეკლესია აშენდა. თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ კი დიდი თანადგომა გამოიჩინა და მონუმენტის ჩამოსასხმელად ავტორებს ფერადი მეტალი გადასცა. ქალაქის მერიამ 50 000 ლარი გადარიცხა. მისივე თქმით, საქმიანობა უსახსრობის გამო დროებით შეჩერებულია. დაღუპულის მამის ცნობით, მონუმენტი 900 000 ლარი ჯდება და საჭიროა 850 000 ლარი. მოქანდაკემ მონუმენტზე მუშაობა დეკემბერში დაიწყო და სახელოსნოში პირველი იარუსი უკვე ამოყვანილია.

მოქანდაკე ნუგზარ ჭავჭავაძის ინფორმაციით, 17 მეომრის მონუმენტი მათი დაღუპვის ადგილას შინდისში დაიდგმება. მისივე თქმით, ეს იქნება ჩვიდმეტფიგურიანი პორტრეტული კომპოზიცია, 12 მეტრის სიმაღლის მონუმენტი, წრიულად განლაგებული, შვიდი ფიგურა პირველ იარუსზე, შვიდი მეორეზე და სამი მესამეზე. თითოეული ფიგურის სიმაღლე სამ მეტრამდეა.

მოქანდაკე ჰონორარზე უარს ამბობს. თანხაში გათვლილია ბიუსტების ჩამოსხმა სკოლებისთვის, სადაც დაღუპულები სწავლობდნენ.

შინდისთან დაკავშირებული პროექტის ავტორია ედმონდ მინაშვილი.

„ინტერპრესნიუსი“

ახალი ინიციატივა პარლამენტში

პარლამენტში 23 ოქტომბერს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის სხდომა ჩატარდა, სადაც სულ ორი საკითხი იყო განსახილველი. ერთი ამომრჩეველთა უფლებების გაზრდას ეხებოდა. კერძოდ, მინიმუმ 200 000 ამომრჩეველს უფლება უნდა ჰქონდეს, საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ, საინიციატივო ჯგუფის სახელით, კანონპროექტი წარადგინოს, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციის რომელიმე მუხლის მთლიანად ან ნაწილობრივ გადაისინჯება. სხდომას საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, მათგან მომხსენებელი კი გიორგი წულაია იყო. როგორც წესი, პარლამენტის ბიურო მსგავს წინადადებებს განსახილველად საპროცედურო საკითხთა კომიტეტს გადასცემს, რომელიც საკითხს 3 დღის ვადაში განიხილავს და წინადადებას ან არეგისტრირებს, ან უკან აბრუნებს. თუმცა ამ შემთხვევაში პრობლემა იმან შექმნა, რომ, როგორც პარლამენტსა და სხვათა შორის, საკრებულოშიცაა მიღებული, ნებისმიერ კანონპროექტს უნდა ერთვოდეს განმარტებითი ბარათი. კომიტეტის თავმჯდომარემ ამის შესახებ განაცხადა და წულაიას კომენტარის შემდეგ, რომ მან დარეგისტრირებაზე უარის მიზეზი ვერ გაიგო, კომიტეტის თავმჯდომარემ, **გიორგი კახიანმა** განმარტა: **„საინიციატივო ჯგუფს უარი ეთქვა წინადადების დარეგისტრირებაზე, რადგან რეგლამენტის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებთ. აქ არაა წარმოდგენილი კონსტიტუციური კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი და განცხადებას არ ერთვის იმ მუხლის მოქმედი რედაქცია, რომლის შეცვლასაც საინიციატივო ჯგუფი ითხოვს. ამ ყველაფერს თუ გადახედავთ, გააანალიზებთ და გაასწორებთ, ამის შემდეგ მობრძანდით, რადგან გაქვთ საშუალება, პარლამენტს რეგისტრაციისთვის ხელახლა მიმართოთ“.**

ასევე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, ხელმოწერების ნამდვილობას საპროცედურო და წესების კომიტეტი შეისწავლის. თუ ნამდვილობა დადასტურდა, წარმოდგენილი საკონსტიტუციო ცვლილების განხილვას მსვლელობა მიეცემა. საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა, გიორგი წულაიამ კი „ვერსიასთან“ საუბრისას არაფრის დაკონკრეტება ისურვა, გარდა იმისა, რომ შენიშვნებს გაასწორებს და გამზადებულ პროექტს პარლამენტარებს ორშაბათს, ქუთაისის პარლამენტში დაახვედრებს.

მეორე საკითხს კი, რომელიც პარლამენტის წევრის, ალექსანდრე თამაზაშვილის ქუთაისში საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას ეხებოდა, დეპუტატებმა მხარი ერთხმად დაუჭირეს.

ნინო კომახიძე

„არ მიყვარს პოლიტიკური ზღაპრები!“

დაიშლება თუ არა კოალიცია, აიღებს თუ არა რევანშს ნაციონალური მოძრაობა და რაფომ მიდის პოლიტიკიდან კახა კალაძე

ეროუსუდან ხავთასი

კახა კალაძეს, როგორც საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი, სულ მალე საზოგადოების წინაშე წლიური ანგარიშით წარსდგება და დეტალურად ისაუბრებს დარგის განვითარების პერსპექტივებზე. დღეს კი მხოლოდ იმას ამბობს, რომ 2 წელია ადევნებს თვალს დარგში დასაქმებულ ადამიანებს და აღფრთოვანებულია მათი მუშაობით განსაკუთრებით ფორსმაჟორულ სიტუაციაში: „ისინი 24 საათი, ნებისმიერ ამინდში, ქარში, წვიმაში, დიდთოვლობაში მუხლჩაუხრელად შრომობენ, რათა მოსახლეობას მაქსიმალური კომფორტი ჰქონდეს. ეს გმირი ხალხია და დიდ მადლობას ვეუბნები ჩემს 20 ათას კოლეგასა და თანამშრომელს!“
კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი პოლიტიკაში ახალი სახეა, მაგრამ საკმაოდ რეიტინგული პოლიტიკოსია. კახა კალაძე პოლიტიკაზე იმდენად იშვიათად საუბრობს, ვფიქრობთ, აქტუალურ საკითხებზე მისი პოზიცია საინტერესო იქნება.

— საქართველოში პოლიტიკური პროცესები იმდენად სწრაფად იცვლება, ექსპერტთა ნაწილი დესტაბილიზაციისა და სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხესაც პროგნოზირებს?

— დარწმუნებული ვარ, ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებებისა და შიდაარეულობების მრავალწლიანი ფაზიდან 2012 წელს სამუდამოდ გამოვიდა. პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს ჩვეულებრივად. გასაკვირიც კი იქნებოდა, ქვეყნის მართვას ჩამოცილებული რეჟიმის წარმომადგენლები, რომელთაც ეგონათ, ხელისუფლებაში სამუდამოდ იქნებოდნენ, ჩუმად და უმოქმედოდ მსხდარიყვნენ. სამწუხაროა, დემოკრატიული პრინციპების გამო, ისედაც ამდენი პოლიტიკით გადაღლილ მოსახლეობას, დამატებით მათი არაადეკვატური პროტესტის ატანა რომ უწევს... ხალხი დაიღალა და ეს არ არის ცარიელი სიტყვები. პოლიტიკურად ზედმეტად აჟიტირებული რომელი დალაგებული და განვითარებული ქვეყანა გინახავთ? ჩვენს სულ ვამბობდით — დროა, ქვეყანა ვაშენოთ, ვიფიქროთ ეკონომიკის განვითარებასა და სოციალური ფონის გაუმჯობესებაზე, ჩემთვის მნიშვნელოვანია, ეს თემები აწუხებდეს, „აჩხუბებდეს“ და უხაროდეს ხალხს, ვიდრე პოლიტიკა.

მედიამაც უნდა შესთავაზოს საზოგადოებას პრიორიტეტული თემები. არ არის საჭირო რაღაც პოლიტიკურ საკითხზე ორ პარტიას შორის არსებული უთანხმოება, თუნდაც დაპირისპირება იყოს ყოველდღიური, ყოველწამიერი ცხელი თემა. გაეცით ინფორმაცია და საკმარისია. რამდენი ცხელი, კატასტროფულად პრობლემატური სოციალური თემაა ქვეყანაში, ჩვენ, პოლიტიკოსები და ჟურნალისტები კი ხალხს აქცენტებს სულ სხვა საკითხებზე ვთავაზობთ. ვფიქრობ, ქალზე ძალადობა საზოგადოებისთვის უფრო განსახილველი თემაა, ვიდრე ის, რას ვიტყვი რომელიმე ოპონენტზე ან რას იტყვის ის ჩემზე?

— კოალიციის ზოგიერთმა წევრი რომ აცხადებს, ძალადობის პრობლემა ხელოვნურად შექმნილი აჟოტაჟია და არაფერი საგანგაშო არ ხდებაო, არ ეთანხმებით?

— არასწორი ინტერპრეტაციაა. შეიძლება რომელიმე კონკრეტულმა პოლიტიკურმა ჯგუფმა ხელოვნურად ააგოროს კრიმინალის თემა, რათა პოლიტიკური სარგებელი ნახოს, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ კონკრეტული კრიმინალური ფაქტი არ მომხდარა?

— სოციალურ ქსელში თქვენს განცხადებას, ქალთა ძალადობის შესახებ დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მაგრამ საქართველოში, სადაც ოდითგანვე ქალის კულტი იყო, ეს პრობლემა ასე აქტუალური რატომ გახდა?

— ის იყო ემოციური კომენტარი. ის, რასაც განვიცდი მე, კახი კალაძე, ბიჭების მამა, ანუკის მეუღლე, საქართველოს მოქალაქე, ჩვეულებრივი ადამიანი და რომელსაც მსურს, ეს საშინელება აღმოიფხვრას საქართველოში... თუმცა მხოლოდ ჩემი, თქვენი ან ნებისმიერი ნორმალური ადამიანის გულისტკივილი ამ პროცესს ვერ შეაჩერებს. საჭიროა ერთიანი, შემტევი სტრატეგიის შემუშავება, სადაც ჩართული იქნება მთელი საზოგადოება. როგორც ქართველ კაცს ძალიან გული მტკივა, მრცხვენია, რომ ეს თემა გაჩნდა და მისახედია ჩემს ქვეყანაში, რადგან გენში გვაქვს და ისტორიულადაც უამრავი მაგალითი არსებობს ჩვენი ერის უნიკალურობისა ქალთან, მანდილოსანთან დამოკიდებულებაში.

— ხელისუფლებამ შექმნა უწყებათშორისი საბჭო ამ თემაზე, იყო რამდენიმე არასამთავრობოს განცხადება, ჩაატარებენ კვლევებს, სახალხო დამცველის შეფასებასაც იხილავდით...

— დიახ, ეს ყველაფერი ამუშავდა და ეს არის ძალიან კარგი. ამ კონკრეტულ მაგალითით მინდა ვთქვა, რომ არის საკითხები ქვეყანაში, არის პრობლემები, რომლის დასაძლევად უნდა გავერთიანდეთ ყველა, ერი თუ ბერი. არის საკითხები, რაც უნდა დავძლიოთ ერთობლივად და არ ვეცადოთ ამის ხარჯზე პოპულარობის მოხვეჭას ან პოლიტიკური ქულების დაწერას. მაშინ განვითარდება ქვეყანა, როცა ადამიანები ერთმანეთში, პოლიტიკოსებსა და საზოგადო მოღვაწეებში დაინახავენ არა ანგარებასა და პირადი ინტერესების დაკმაყოფილების სურვილს, არამედ ნამდვილ სწრაფვას უკეთესობისკენ.

— და „ქართულ ოცნებას“ შეუძლია ამის რეალიზება. რამდენად ეფექტური ხელისუფლება ხართ და შეგიძლიათ დაგვისახელოთ ამ ორ წელიწადში რეალიზებული ოცნებები?

— ოცნების შესრულება რომ ერთი ხელის მოსმით, ჯადოსნური ჯოხით შეიძლებოდეს, იცით, რა კარგი იქნებოდა?! ჩვენ დავიწყეთ... და ამას წლები სჭირდება! ოცნება, რომელიც შესრულდა მომენტალურად, ეს იყო შიშისა და სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის დაძლევა. კარგად უნდა გავაცნობიეროთ: რასაც თქვენ, მოსახლეობა, დღეს-ხვალ მოიპოვებთ სახელმწიფოსგან, რასაც მოსთხოვთ მთავრობას, რაზეც ეჩხუბებით და გამოასწორებინებთ, ყველაფერი თქვენივე მონაპოვარია. სწორედ ასეთი, ხალხის ხელით შესრულებული რეალობა კი ისაა, რომ საქართველო გახდა დემოკრატიული ნორმალური ქვეყანა და ეს შეუქცევადი პროცესია.

— ამ შეუქცევადი, დემოკრატიული პროცესის გათვალისწინებით, კოალიცია „ქართული ოცნება“ დაიშლება?

— რომ არ დაიშალოს, ეგ დემოკრატიულობის გამოვლენა იქნება? კოალიცია შედგება სხვადასხვა პოლიტიკური ხედვისა და იდეოლოგიის პარტიისგან. ჰქონდათ საერთო მიზანი — სააკაშვილის რეჟიმის გადაგდება და ჰყავდათ საერთო, ხალხში რეიტინგული ლიდერი — ბიძინა ივანიშვილი. მიზანი მიღწეულია. ვინ რა პოლიტიკურ ნაბიჯს გადადგამს შემდგომ, ვის მიმართ რა დამოკიდებულება ექნება ამომრჩეველს, ეს ყველა პოლიტიკური სუბიექტის პირადი საქმეა და არა მგონია, სალაპარაკო, გასარჩევი ან ტრაგიკულად აღსაქმელი თემა იყოს. ვფიქრობ, პირიქით — განსხვავებული პოლიტიკური იდეოლოგიის პარტიებს თუ ყველა საკითხზე ერთგვაროვანი პოზიცია ექნება, ეს დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების შენებას ხელს შეუშლის. ამ თემაზე კონკრეტულად 2016 წლის არჩევნებისთვის ვისაუბროთ.

— მაშინ იმაზე ვისაუბროთ, რა მომავალი აქვს ნაციონალურ მოძრაობას, როგორც პოლიტიკურ ძალას, რამდენად რეალურია რევანშის საფრთხე და მათი ხელისუფლებაში დაბრუნების ალბათობა?

— რეალისტი ვარ. არ მიყვარს პოლიტიკური ზღაპრები — ვაცნობიერებ, რომ ნაციონალური მოძრაობაში არიან ადამიანები, ვისაც შეხება არ ჰქონია იმ სისტემურ დანაშაულთან, რაც ამ პარტიის ხელისუფლებაში ყოფნისას ხდებოდა, არა აქვთ ჩადენილი კონკრეტული დანაშაული. ამდენად, მათ აქვთ სრულიად ლეგიტიმური უფლება, აწარმოონ პოლიტიკური საქმიანობა ისევ ნაციონალური მოძრაობის ანდა სხვა პოლიტიკური გაერთიანების სახელით. კომპლექსურად პარტიამ ის დივიდენდები, რაც ხალხში 2003 წელს მოიპოვა, ხალხთან ბრძოლასა და დაპირისპირებას შეალია, გაანიავა პირადი ანგარების, კლანური ინტერესების გამო, ჩაიდინა უამრავი დანაშაული, ამიტომ მათი ამბიცია, მობრუნდნენ ხელისუფლებაში, უტოპიაა. ამ ეტაპზე, მათი ოპოზიციონერობა არის დემოკრატიისთვის გადახდილი ის ხარკი, რომლითაც არც მოსახლეობა და არც მმართველი ძალა არ სარგებლობს, ხოლო ეს დაჯგუფება, ნაცვლად იმისა, ოპოზიციური ნიშიდან მაინც იყოს კონსტრუქციული, ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებული, ისევ მოსახლეობასთან კონფრონტაციასა და ქვეყანაში არეულობის შეტანის მცდელობას ახმარს თავის რესურსს.

ჩვენ, ხელისუფლება, დაინტერესებული ვართ, ქვეყანაში იყოს რეალური, კონსტრუქციული ოპოზიცია. ჩვენ გვინდა ახალი პოლიტიკური ძალების წარმოჩენა, რათა დემოკრატიული პროცესი იყოს ჯანსაღი, კრიტიკა საფუძვლიანი, ეს ორივე ასპექტი კი ხელს შეუწყობს ჩვენს ეფექტურ მუშაობას. ნებისმიერ პოლიტიკურ სუბიექტს, თუნდაც გამარგინალებულს აქვს არსებობისა და მოქმედების უფლება, სანამ ჰყავს ერთი მხარდამჭერი მაინც, მაგრამ სახელმწიფოს აქვს აგრეთვე არათუ სრული უფლება, ვალდებულებაც, აღკვეთოს ნებისმიერი კანონდარღვევა. ვისურვებ, ნებისმიერმა პოლიტიკურმა ძალამ შეძლოს ღირსეული ოპონირება ისე, რომ მათი ინტერესები არ იკვეთებოდეს კანონსა და ქვეყნის ინტერესებთან.

— ბატონო კახი, ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ბრძანეთ, რომ, თუ გუნდს აღარ დასჭირდებით, დაიხურავთ ქუდს და წახვალთ. რას ნიშნავს ეს განცხადება, რისთვის ემზადებით?

— უცნაური და სენსაციური არაფერი მითქვამს. როცა სადმე თქვენი საჭიროება ამოიწურება, რას გააკეთებთ? მე მაქვს ჩემი წარსული, აწმყო და მომავალი. მე მოვედი ბიძინა ივანიშვილთან, ჩემი წვლილი რომ შემეტანა ქვეყნის უფსკრულიდან ამოყვანაში. ვცდილობ, გუნდის მიერ დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შევასრულო და ქვეყანას ვემსახურო. მაქვს იმის შეგნება და ყველანაირი რესურსი, ვიყო იქ, სადაც ჩემს ხალხს დასჭირდება. კარგად ვაცნობიერებ ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას, ხოლო სად ვიქნები და რა პოზიციაზე, ეს მეასეხარისხოვანია.

ვერსიანიუსი

ირაკლი ალასანია გიორგი მარგველაშვილს უშიშროების საბჭოს სხდომის გადადებას სთხოვს

უშიშროების საბჭოს სხდომა 28 ოქტომბრისთვისაა დანიშნული და სწორედ ამ დროისთვისაა დაგეგმილი ირაკლი ალასანიას ვიზიტი საფრანგეთსა და გერმანიაში. როგორც ალასანიამ აღნიშნა, უშიშროების საბჭო ძალიან მნიშვნელოვან საკითხს განიხილავს და აქვს სურვილი, სხდომას დაესწროს.

უშიშროების საბჭოს მდივანმა, ირინა იმერლიშვილმა განაცხადა, რომ საბჭოს სხდომაზე ერთ-ერთი მომხსენებელი ირაკლი ალასანია უნდა ყოფილიყო.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა კი აღნიშნა, რომ, როგორც მისთვის ცნობილია, 28 ოქტომბერს, როდესაც უშიშროების საბჭოს სხდომაა დაგეგმილი, უშიშროების საბჭოს წევრთა უმრავლესობა საქართველოში არ იქნება.

„ინტერპრესნიუსი“

სოფელ მოხეში დაპირისპირებისას 14 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, „ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში ერთ-ერთი შენობის აღდგენითი სამუშაოები დაიწყო, რომელსაც სახელმწიფო ტენდერში გამარჯვებული კომპანია ახორციელებს. ადგილზე შეკრებილი ადგილობრივი მოსახლეობა აღნიშნულ სამუშაოებს აპროტესტებდა და კომპანიას საქმიანობის განხორციელებაში ხელს უშლიდა. შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლები ადგილზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფდნენ.

სამართალდამცველები შენობის პერიმეტრს შესაძლო დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით იცავდნენ. პოლიციელებმა მოქალაქეებს სიმშვიდისკენ და კანონის დაცვისკენ მოუწოდეს. მოქალაქეებმა პოლიციის თანამშრომლებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და პოლიციის ავტომანქანები დააზიანეს.

მომხდართან დაკავშირებით სამართალდამცველებმა 11 პირი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლებით დააკავეს, ხოლო 3 პირი დაკავებულია სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით (პოლიციის მიმართ წინააღმდეგობის გაწევა, ჩადენილი ჯგუფურად).

მოხეში მომხდარ ინციდენტს სახალხო დამცველიც გამოეხმაურა. უწა ნანუაშვილი ხელისუფლებას მოუწოდებს, საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული თანასწორუფლებიანობისა და რელიგიის თავისუფლების პრინციპების დაცვით იმოქმედოს. ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობას კი, მიმართავს, ყოფილი მეჩეთის შენობის დემონტაჟი შეაჩეროს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორია, რელიგიური აღმსარებლობის მიუხედავად. მთავრობის მეთაური მოხეში განვითარებულ მოვლენებს სამწუხაროს უწოდებს და აცხადებს, რომ ყოველგვარი ძალადობა მიუღებელია. ღარიბაშვილის განმარტებით, სოფელში მცხოვრები ქრისტიანები ამბობენ, რომ ამ ადგილზე ადრე იყო ეკლესია, რომელიც დაანგრიეს და ნანგრევებით მეჩეთი ააშენეს. შემდეგ ერთი საუკუნის განმავლობაში, ის იყო კულტურის სახლი და დღემდე უსარგებლო შენობა, რომლისთვისაც ყურადღება არ მიუქცევიათ.

პრემიერის განცხადებით, ყველა ასეთი საკითხი ჯერ უნდა შეისწავლოს რელიგიის საკითხთა სააგენტომ. ღარიბაშვილის ინფორმაციით, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი ამ საკითხს ადგილობრივ მოსახლეობასთან კიდევ ერთხელ გაარკვევს. პრემიერმა კიდევ ერთხელ მოუწოდა მოსახლეობას, კანონს დაემორჩილონ.

„ვერსიანიუსი“



შსს-მ დიდი ოდენობით „ბიო“ ამოიღო

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მეშვიდე განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული არჩილ ა. დიდი ოდენობით ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში, ალ. ჭავჭავაძისა და რუსთაველის გამზირის კვეთაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 134,79 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას შეიცავს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება დიდი ოდენობით ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260 მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

ვინ გაუცრუა იმედი ირაკლი ჭრიპოლსკის

რა არ მოსწონს, რაფომ აკრიტიკებს ხელისუფლებას და როგორ „წაართვა“ პიჯაკი გიორგი მარგველაშვილმა დუშეთის მაჟორიტარს

ირუსუდან შელია
557-100-768

დუშეთის მაჟორიტარი იმ პოლიტიკოსების კატეგორიას არ მიეკუთვნება, რომელიც თუნდაც საკუთარი თანაგუნდელების მიმართ კრიტიკას ერიდება. პირიქით, ღიად აცხადებს, რომ ამ ბოლო დროს ბევრი რამ არ მოსწონს, მათ შორის ის, რომ სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულებს 1000-დოლარიანი ანაზღაურება აქვთ, მასწავლებელი კი 200-ლარიან ხელფასს იღებს. „ვერსია“ დუშეთის მაჟორიტარ დეპუტატთან, ირაკლი ჭრიპოლსკისთან ინტერვიუს გთავაზობთ.

— უკვე იმ ასაკში ვარ, თამამად შემიძლია ვთქვა — ბევრი რამ გამიგია, მინახავს, წამიკითხავს... დოკუმენტალისტი ვარ და მთელი საქართველო მოვლილი მქონდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მაშინ საქართველოს კარგი კუთხით ვხედავდი. ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში, რაც დეპუტატი გავხდი და ადამიანებს უკეთ გავეცანი, გულგატეხილი ვარ — საშინელი გაჭირვება და სიბნელე დავინახე. ბოდიშს ვიხდი ყველასთან, მაგრამ ადამიანებში სრული სიბნელეა, ჩემი ჩათვლით. არ ვამბობ, რომ მე წინ ვარ და ვიღაცები უკან არიან. უბრალოდ, ბევრი რამ რეალურად აღვიქვი.

— **ორაზროვნად საუბრობთ, დააკონკრეტეთ, ვინ გაგიცრუათ იმედი — საზოგადოებამ?**

— არავის ვერჩი, ამ ბოლო დროს ლაპარაკის მეშინია, თუ ვინმე ვახსენე, იტყვიან ვიღაცებს ებრძვისო, მაგრამ ასე არ არის. უბრალოდ, საზოგადოებაშიც და, გნებავთ, პარლამენტშიც განათლება პრიორიტეტული სფერო თუ არ გახდება, არაფერს ეშველება. ვისაც უნდა ეწყინოს, არაპროფესიონალებს ათასდოლარიანი ანაზღაურება აქვთ, მასწავლებელი კი თვეში 200-ლარს იღებს.

— **თქვენ ხართ ხელისუფლებაში და, თუ სახელმწიფო პოლიტიკა არ მოგწონთ, რატომ არ იყენებთ ამისთვის პარლამენტის ტრიბუნას?**

— ვერ ვიტყვი, რომ აქტიური არ ვარ. უბრალოდ, ამ ბოლო დროს ყველას ვაკრიტიკებ, არაფერი მომწონს, საკუთარ თავზე ვბრაზდები, რომ ჯუჯღუნა ტიპი გავხდი. ყველას ეჭვის თვალით ვუყურებ, რადგან ადამიანებში ერთმანეთის პატივისცემა დაიკარგა. არადა, ესეც, განათლებასთან ერთად, აუცილებელია და თუ ამას საზოგადოება არ გაითავისებს, ევროატლანტიკურ გაერთიანებაში შესვლა ამ ქვეყანაში ვერაფერს შეცვლის — იქაც ჭკვიანი და განათლებული ადამიანები სჭირდებათ. კეთილშობილი ადამიანების წრეში გავიზარდე — მსახიობები, რეჟისორები, მწერლები, ინჟინრები... მათ ერთმანეთი უყვარდათ, ყველა ერთმანეთთან კეთილგანწყობილი იყო და ბოროტებაზე ნაკლებად ფიქრობდნენ. ამიტომაც მეგონა, მთელი ქვეყანა ასეთი იყო.

— **ბატონო ირაკლი, რეალურ საქართველოში მილიონი ადამიანი სიღატაკის ზღვარზეა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, ამ ქვეყანაში ბავშვები შიმშილით იხოცებიან. რა გააკეთა ამ ვითარების შესაცვლელად ხელისუფლებამ?**

— მარტო მილიონი რომ იყოს, რა გვიჭირდა, მოსახლეობის ნახევარზე მეტი შიმშილობს. ყველაფერი ვიცი... თუმცა ხელისუფლებამაც ბევრი გააკეთა. ყოველ შემთხვევაში, ვითარების შეცვლას რეალურად ცდილობს. უბრალოდ, საზოგადოება ყველაფრის „გაყვითლებას“ ითხოვს. არ უნდათ, რომ ავტორიტეტები არსებობდნენ... ამ ორი წლის განმავლობაში ვერ მოვისმინე კითხვა — რა ვქნათ, როგორ გამოვასწოროთ ქვეყანაში პრობლემები? უნდა გავიგოთ, ეს მდგომარეობა, სიღარიბე მხოლოდ პერსონალიების ბრალი არ არის. დაავირდით, ექსპერტი რომ ექსპერტია, მისი მნიშვნელობაც დაიკარგა, რადგან ყველაფრის ექსპერტები გაჩნდნენ, რის გამოც რეალობის ანალიზი აღარ ხდება — ყველა საკითხზე ერთი და იგივე ადამიანები საუბრობენ. ეროვნული მოძრაობიდან დაწყებული, ყველა დადის, რაღაცას ცდილობს — წვერი მოუშვეს, პატრიოტობას იჩემებენ, დროშები დააქვთ.

— **მოდი, ისიც ვთქვათ, ამ ადამიანების დამსახურებაა, „ქართული ოცნება“ დღეს რომ ხელისუფლებაშია.**

— გასაგებია ყველაფერი, მაგრამ რატომ ვესვრით ერთმანეთს ლაფს? შენ იმის აგენტი ხარ, შენ ამის... თვითონ პატრიოტია. ახლა ბატონი რეზო თაბუკაშვილის სიტყვები მახსენდება — პატრიოტობა პროფესია არ არის, პროფესიონალიზმიაო. თუ ამას გავიაზრებთ, მალე გვეშველება.

— **არ ფიქრობთ, რომ ამ ქაოსს ნაციონალური მოძრაობის შეთქმულებებზე საუბრითა და მათი დემონიზაციით ხელს უწყობთ — ბევრს აქვს განცდა, ქვეყანა ნაციონალურ მოძრაობასთან ბრძოლას გადააყოლეთ.**

— ნაციონალური მოძრაობა არ მაინტერესებს, იმდენ უსამართლობასა და ტყუილს ვხედავ, განცვიფრებული ვარ. ადამიანებმა უამრავი დანაშაული ჩაიდინეს და დღეს საზოგადოებას მორალს უკითხავენ. ორი კვირის განმავლობაში, წვიმასა და ქარში, ცელოფანმოხვეული, „ვარდების რევოლუციის“ დროს რუსთაველის გამზირზე ვიდექი. ყოფილიყვნენ, რა, რატომ ჩაიდინეს ამდენი დანაშაული? ვინმეს გაუგია, რომ ან თანამდებობა, ან ხელისუფლებაში მოსვლა მინდოდა? მაგრამ მათი ქმედებები ყველანაირ საზღვრებს გასცდა. ნაციონალებს 2003 წელს მთელი საქართველო გვერდში დაუდგა, მაგრამ მათ მთელი საქართველო გადაიმტერეს.

— **„ქართული ოცნებაც“ ასეთივე მხარდაჭერით მოვიდა ხელისუფლებაში, მაგრამ ფაქტია, საზოგადოებაში უკმაყოფილოთა რაოდენობა იზრდება.**

— მესმის, მაგრამ მაინტერესებს, ეს ადამიანები რას ელოდებიან? დიაბეტი მაქვს და ფეხით ხშირად დავდივარ. ისედაც მთელი თბილისი მიცნობს, ქუჩაშიც ჩემი ძველი კოლეგები, სპორტსმენები, ხშირად მხვდებიან და მეკითხებიან — გვეშველება რამე? მე კითხვითვე ვპასუხობ — ვინ უნდა გიშველოს? ჩვენ ვიქნებით თუ მომავალი ხელისუფლება, თითოეულ მოქალაქეს სახლში მივაკითხოთ და ფული დავურიგოთ?

— **დაეხმარეთ მცირე ბიზნესმენებს, მიეცით ადამიანებს მუშაობის უფლება, სახელმწიფოსგან დარიგებულ თანხას ვინ ითხოვს?**

— რამდენიმე დღის წინ, ახალი პორტალი აღმოვაჩინე, სადაც ამ ორი წლის განმავლობაში გაკეთებული საქმეებია ჩამოთვლილი. ნახეთ, რამხელა სიაა. როგორ შეიძლება ყველა საინფორმაციო გამოშვება იმით დაიწყოს, ვის მოაჭრეს თავი, ვინ მოკლეს... დანაშაული ყოველთვის ხდებოდა! ნაციონალური მოძრაობის დროს შვილებმა მშობლები დახოცეს და საწოლში ჩამარხეს. ასეთი ტიპები ყოველთვის იყვნენ. არადა ამ დროს რაღაცები ხდება, რუსები უკრაინაში შევიდნენ, დონეცკს ბომბავენ, პრემიერი რეგიონში დადის, მაგრამ ეს არავის აინტერესებს. სამაგიეროდ, ბრალდებულის 10-წუთიან მიმართვას გვასმენინებენ. არავის ვიცავ, ესაა რეალობა.

— **და ნაციონალურ მოძრაობას გადაჭარბებული პიარისთვის არ აკრიტიკებდით?**

— თვალისახელაა საჭირო. უმეტესობას „ტელევიზორის განათლება“ აქვს. ერთ საინტერესო ფაქტს გიამბობთ: ერთ-ერთ რეგიონში შეხვედრაზე ვიყავი. ადგილობრივებს კოოპერატივის კანონის უპირატესობებზე ვუყვებოდი. დაახლოებით, 40 წუთის განმავლობაში ვუხსნიდი კანონის შესაძლებლობებზე. როცა სიტყვა დავასრულე, ერთ-ერთი მეკითხება — დირექტორი ვინ იქნებაო. მივხვდი, რომ ცუდად გვაქვს საქმე. მთელი მსოფლიო ევროპაში კოოპარატივებზე დგას, ხალხი შეკრებილია და საქმეს ერთად აკეთებენ. ქართველმა გლეხმა კი ვერ გაიგო, რომ კოოპერატივი კოლმეურნეობა არ არის. თავადაც უნდა დაფიქრდნენ. მარტო ფული და დაფინანსება არ არის მთავარი. კრეატივიც საჭიროა, რომ ქვეყანა განვითარდეს და ჩვენი პროდუქციაც კონკურენტუნარიანი გახდეს.

— **კონკურენტობა რადგანაც ახსენეთ, გიორგი მარგველაშვილზეც გკითხავთ, რომელიც დღესაც დუშეთში ცხოვრობს და ამბობენ, მის საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელებაში წვლილი თქვენც მიგიძღვით...**

— ჩემი წვლილი ამაში არ არის, უბრალოდ, ვმეგობრობთ. არ ვიცი, რატომ იქცა ის მთავრობის კონკურენტად... ჩემი აზრით არ ქცეულა და საერთოდ, ამ მხრივ, განსაკუთრებული არაფერი ხდება.

— **თავად ბიძინა ივანიშვილმა გახსნა კარტი — მარგველაშვილმა გამომიცხადა, მთავრობის კონკურენტად უნდა ვიქცეო.**

— ივანიშვილი ბუდა ხომ არ არის? შესაძლოა რაღაც მოხდა, მაგრამ თუ ამაზე ღიად ისაუბრა, რამე განსაკუთრებულ შემთხვევად უნდა ჩავთვალოთ? მეც შევიცვალე ალბათ... ზოგი ასეა, ზოგი ისე. გიორგი მარგველაშვილს ძველი „მეცხრე არხიდან“ ვიცნობ. მახსოვს, ერთხელ ტელევიზიის ოფისიდან გამოვდიოდი, ეზოში შემხვდა. შევატყვე, სციოდა. პიჯაკი მეცვა. ვკითხე, ხომ არ გცივა-მეთქი. მიპასუხა, შენ რა გენაღვლება, პიჯაკი გაცვიაო. პიჯაკი მივეცი. ზედმეტი გაწევ-გამოწევის გარეშე, გამომართვა და ჩაიცვა. ამასობაში, მანქანამ მოაკითხა და წავიდა.

— **პიჯაკი არ დაგიბრუნათ?**

— არა, ამ პიჯაკით შემდეგ რამდენჯერმე ვნახე. სხვათა შორის, სახელი ერეკლე ტატიშვილის პატივსაცემად დამარქვეს, მამაჩემი მისი წარჩინებული სტუდენტი იყო და ძალიან უყვარდა. ორი თვის წინ აღმოვაჩინე, რომ ის გიორგი მარგველაშვილის ბაბუა ყოფილა. ასე რომ, პრეზიდენტთან ურთიერთობა მაქვს და ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. თუ ამ მხრივ ვინმეს რამე გართულება აქვს, ვფიქრობ, ეს ვნებაც მალე ჩაცხრება.

მაია მიშელაძე
593-51-90-12

დარღვევები ქუთაისის მერიაში

სახელმწიფო აუდიტის სკანდალური დასკვნა — უკონკურენტო, გაუმჭვირვალე აუქციონები და ინვესტორები, რომლებიც ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს არღვევდნე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გაცემის კანონიერება და მართლზომიერება შეისწავლა. აუდიტის ანგარიში, რომელიც „ვერსიამ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან ექსკლუზიურად მოიპოვა, 2009-2012 წლებში განხორციელებულ კვლევას მოიცავს. ქუთაისის მერიასა და მოიჯარეებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, სახელმწიფო აუდიტებმა უამრავი უზუსტობა და ხარვეზი გამოავლინეს. გაირკვა, რომ საიჯარო თანხების გადაუხდელობისა და დაგვიანებით განხორციელებული გადახდის შემთხვევაში, მერიას საჯარიმო სანქციები არ დაუწესებია. 2009 წელს, მოიჯარეებმა ქუთაისის ბიუჯეტში 12 000 ლარი არ გადაიხადეს, 2010 წელს 24 700, 2011 წელს 24 700. ხშირ შემთხვევაში, მოიჯარეები ხელშეკრულების პირობებს არ ასრულებდნენ, მაგრამ ამ ხელშეკრულებებში პირგასამტეხლო ან სხვა სახის სანქციები მერიას არ გაუთვალისწინებია. „ვერსიის“ ინფორმაციით, სახელმწიფო აუდიტის დასკვნა უკვე მთავარ პროკურატურაშია გადაგზავნილი.

დარღვევები ქონების პრივატიზების დროს

ქუთაისის მერია, ადგილობრივი ქონების მართვას ადმინისტრაციული სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების საშუალებით ახორციელებს. ქონების პრივატიზება და სარგებლობის უფლებით გაცემა, ფიზიკური ან იურიდიული პირების მიმართვის საფუძველზეა შესაძლებელი, რაც ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილებაში, ასევე არქიტექტურის სამსახურში განიხილება.

2009-2011 წლებში, ქუთაისის მერიის მიერ, პრივატიზებულია 129 ობიექტი, იჯარის წესით გაცემულია 88, ხოლო საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებზე, წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე უსასყიდლო უზურფუქტის სახით, 47 ობიექტია გაცემული. იმ მასალებსა და დოკუმენტებში, რომლებიც ქუთაისის მერიის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვას უკავშირდება, სახელმწიფო აუდიტებმა სხვადასხვა სახის უზუსტობა და რისკისშემცველი გარემოებები გამოავლინეს.

სახელმწიფო აუდიტის დასკვნით, აუდიტის პერიოდში, ქუთაისის მერიის მიერ ჩატარებული ქონების პრივატიზების, ასევე აუქციონების მოუმზადებლობასა და ნაკლებ ინფორმირებულობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ჩატარებული 127 აუქციონიდან, კონკურენცია მხოლოდ 13-ზე დაფიქსირდა, მიზეზი კი აუქციონის არასათანადო გამოცხადება და გაუმჭვირვალობა იყო. გაირკვა, რომ პოტენციურად დაინტერესებული მყიდველების უმრავლესობა აუქციონის შესახებ ინფორმირებული არ იყო, რადგან ამის შესახებ ადგილობრივ გაზეთში — „ენციკლოპედია ქუთაისი“ იბეჭდებოდა. სახელმწიფო აუდიტების დასკვნით ირკვევა, რომ ამ გაზეთს არ აქვს ტირაჟი, მითითებული არ არის მისი დაბეჭდვის თარიღი, უფასოა, არ იყიდება და ფაქტობრივად, არც ვრცელდება. გაზეთის რედაქტორის განმარტებით, რედაქციასა და ქუთაისის მერიას შორის, „ენციკლოპედია ქუთაისის“ უფასო გავრცელების შესახებ, ზეპირი შეთანხმება არსებობდა. მოთხოვნის შესაბამისად, დაინტერესებულ პირებზე გაზეთი რედაქციიდანვე გაიცემოდა.

2009-2011 წლებში, საპრივატიზებო ქონების შესახებ ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, ამ უწყების ვებგვერდზე გამოსაქვეყნებლადაც იგზავნებოდა, თუმცა აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ქუთაისის მერიამ სამინისტროს მხოლოდ 10 ინფორმაცია მიაწოდა, ისიც 22-დღიანი დაგვიანებით. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტებმა დაასკვნეს, რომ მერიამ აუქციონების გავრცელების ეფექტური საშუალებები არ გამოიყენა. გამოცხადებულ აუქციონზე კონკურენციის ამაღლების მიზნით, მერიას უფრო მოთხოვნადი ადგილობრივი პრესა და ტელევიზია უნდა გამოეყენებინა.

მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლის 1 იანვრიდან, საქართველოში აუქციონები მხოლოდ ელექტრონული ფორმით ტარდება, ქუთაისის მერიაში ელექტრონული აუქციონები არ გაუმართავთ, რასაც ამ პროცესის გაუმჭვირვალობა მოჰყვა. 13 აუქციონზე, რომელზეც კონკურენცია დაფიქსირდა, საწყისი ჯამური ღირებულება 248 100 ლარი იყო, აუქციონის პროცესში კონკურენციის შედეგად 518 700 ლარი, ანუ 270 600 ლარით მეტი მიიღეს. სხვა შემთხვევებში, აუქციონზე გამოტანილი ქონება კონკურენციის გარეშე, საწყის ღირებულებაზე მხოლოდ 100-ლარიანი სააუქციონო ბიჯის დამატებით გაიყიდა.

საინვესტიციო პირობების დარღვევის ფაქტები

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 18 თებერვლის განკარგულებით, პირდაპირი მიყიდვის წესით, „შიტრიტ ჯგუფს საქართველოში“, ქუთაისში 13 ობიექტი, 3 143 000 ლარად გადაეცა. შესაბამისი ხელშეკრულება 2011 წლის 28 თებერვალს გაფორმდა, რომლის თანახმად, კომპანიას საპრივატიზებო თანხა სამი თვის ვადაში უნდა დაეფარა. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, კომპანიამ 2 965 700 ლარი გადაიხადა, დარჩენილი 177 300 ლარი და მასზე დაკისრებული საურავი — 81 700 ლარი, „შიტრიტ ჯგუფმა საქართველოში“ მხოლოდ 2012 წლის 3 სექტემბერს, აუდიტის პროცესში, სახელმწიფო აუდიტების მოთხოვნის შემდეგ გადაიხადა.

ხელშეკრულების პირობების მიხედვით, შპს „შიტრიტ ჯგუფს საქართველოში“, მის მიერ შეძენილ 13 ობიექტზე, 2013 წლის 1 იანვრამდე, 5 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია უნდა განეხორციელებინა. მეტიც, კომპანიას ქუთაისში, ცისფერყანწელთა ქუჩა №9-11/პუშკინის ქუჩა №1-ში მდებარე შენობაში, სასტუმრო კომპლექსი უნდა მოეწყო; გრიშაშვილის ქუჩა №7-ში მდებარე შენობაშიც სასტუმროს მოწყობა იგეგმებოდა; ფალიაშვილის ქუჩის პირველ შესახვევში, №11/1-ში მდებარე შენობის გარე ფასადისა და სახურავის მოწესრიგება ევალებოდა, მაგრამ აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ კომპანიამ მხოლოდ საინვესტიციო თანხის ნაწილი აითვისა.

სახელმწიფო აუდიტებმა გაარკვიეს, რომ ცისფერყანწელთა ქუჩაზე კომპანიამ სასტუმრო კი მოაწყო, თუმცა რა ოდენობის ინვესტიცია დაიხარჯა, ქუთაისის მერიისთვის უცნობია. გრიშაშვილის ქუჩაზე მდებარე შენობაში კი სასტუმროს მოწყობის სამუშაოები „შიტრიტ ჯგუფს საქართველოში“ არც დაუწყია. ასევე არ დაწყებულა სამშენებლო სამუშაოები კომპანიის საკუთრებაში არსებულ სხვა ობიექტებზე. სამაგიეროდ, შპს „შიტრიტ ჯგუფი საქართველოს“ წარმომადგენელმა ნიკოლოზ მენთეშაშვილმა, 2012 წლის 8 ოქტომბერს, ქუთაისის მერიას ოფიციალური წერილით მიმართა და საინვესტიციო ვადის გაგრძელება 2 წლით, 2015 წლის 1 იანვრამდე მოითხოვა. წერილში მენთეშაშვილმა აღნიშნა, რომ საინვესტიციო თანხიდან, რომელიც 8 350 000 ლარია, კომპანიამ 2 829 800 ლარი გახარჯა, თუმცა ამ თანხის სიზუსტე ქუთაისის მერიას არ გადაუმოწმებია.

ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, კომპანიას ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, რაც გასაყიდი ფასის 0.5% ანუ 15 700 ლარია, ხოლო საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობისას, კომპანიას განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1% უნდა გადაეხადა დარღვევის დღიდან ანუ 2013 წლის 1 იანვრიდან, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. სახელმწიფო აუდიტორების გაანგარიშებით, დარჩენილი საინვესტიციო თანხა 5 520 200 ლარი იყო, ხოლო პირგასამტეხლოს სახით, კომპანიას 2013 წლის 1 იანვრიდან, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 5 500 ლარი უნდა დარიცხვოდა. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ქუთაისის მერიამ კომპანიას წერილობითი გაფრთხილება არ გაუგზავნა, სადაც დარღვევის გამოსწორების ვადას და პირგასამტეხლოს ოდენობას მიუთითებდა. მეტიც, დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა ქუთაისის მერიას სამართლებრივ საფუძველს აძლევდა, რათა კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება ცალმხრივად მოეშალა.

2008 წლის 8 აპრილს, ქუთაისის მერიამ აუქციონის ფორმით, გრიშაშვილის ქუჩა №19-ში მდებარე შენობა-ნაგებობა და მასზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთი 1 200 000 აშშ დოლარად გაყიდა. ამ ქონებაზე საკუთრების უფლება კვიპროსში რეგისტრირებულ კომპანია შპს „ბესლერ თრეიდინგ ლიმიტედს“ გადაეცა, რომლის წარმომადგენელი რუსეთის მოქალაქე, ვი თი ბი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე, სერგეი ცარიოვი იყო. ქალაქის ცენტრში, გრიშაშვილის ქუჩაზე მდებარე ეს შენობა ისტორიულია. პრივატიზების პირობების მიხედვით, „ბესლერ თრეიდინგ ლიმიტედს“ ამ შენობის რეკონსტრუქცია ერთი წლის ვადაში უნდა დაესრულებინა. ამის მიუხედავად, პრივატიზებული შენობა-ნაგებობის იერსახე დღემდე უცვლელია, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ქუთაისის მერიამ ხელშეკრულებაში არ ჩადო პირგასამტეხლო ან სხვა სანქცია იმ შემთხვევაში, თუკი კომპანია საპრივატიზებო პირობას არ შეასრულებდა.

შეუსრულებელი საინვესტიციო ვალდებულებები

აუდიტის პერიოდში, ქუთაისის მერიამ ქონების განკარგვის უფლებით, 88 ერთეული უძრავი ქონება გასცა. 70 შემთხვევაში, ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, ხოლო დარჩენილ 18 შემთხვევაში, ქონების იჯარით გაცემა აუქციონის ფორმით განხორციელდა. აუქციონები უკონკურენტო გარემოში ჩატარდა, სადაც მხოლოდ ერთი პრეტენდენტი მონაწილეობდა. მოიჯარეებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მერიისთვის ელექტროტექნიკის მინოდებას ეხებოდა, მაგრამ არ დაუკონკრეტებიათ, რა ტიპის ტექნიკა უნდა მიეწოდებინა მოიჯარეს მერიისთვის. შესაბამისად, მოიჯარეს შესაძლებლობა ჰქონდა, ნებისმიერი სახის საქონელი მიეწოდებინა მერიისთვის, მათ შორის, ნაკლებად საჭიროც კი. 2009-2011 წლებში, მოიჯარეებმა მერიას 28 100 ლარის ღირებულების საქონელი, ძირითადად პრინტერები, მონიტორები, მაუსები, ქსეროქსის აპარატები, ფოტოკამერები და კომპიუტერები მიაწოდეს.

2010 წლის 2 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით, შპს „ბარონესამ“ ქუთაისში, ფალიაშვილის №8-ის აღმოსავლეთით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით 275 კვ.მ. მიწის ფართობი მიიღო, რომლის თვიური ღირებულება 110 ლარი, ანუ 1 კვ.მ. — 0.40 ლარი იყო. გაირკვა, რომ შპს „ბარონესამ“ ეს ქონება ქვეიჯარით, სხვადასხვა იურიდიულ პირზე გასცა. მაგალითად, 68 კვ.მ. მიწის ფართობი 618 ლარად გასცა ქვეიჯარით, მაგრამ ამ შემთხვევაში, 1 კვ.მ. ფართობის ღირებულება 9 ლარი გამოდის, რაც 220ჯერ მეტია, ვიდრე შპს „ბარონესამ“ მიიღო ქუთაისის მერიისგან. გაირკვა ისიც, რომ რამდენიმე შემთხვევაში, მოიჯარეები ხელშეკრულებებით განსაზღვრულ პირობებს არ ასრულებდნენ და ინვესტიციებს არ ახორციელებდნენ. 2007 წლის 7 ნოემბერს, შპს „იბერია ვარსკვლავს“, პირდაპირი განკარგვის წესით, 45-წლიანი ვადით, ქუთაისის მერიის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 2 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გადასცეს. ეს ნაკვეთი ჭავჭავაძის გამზირზე, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზეა განთავსებული. შპს „იბერია ვარსკვლავი“ ვალდებული იყო, 30 თვის განმავლობაში, ამ ტერიტორიაზე სავაჭრო-კომერციული ობიექტები აეშენებინა; ასაშენებელ სავაჭრო კომპლექსში გასართობი ცენტრი უნდა შეექმნა; 2 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია უნდა განეხორციელებინა; კურორტების პროგრამული გამოსახულებითა და ტურისტული მარშრუტების მითითებით, ტურისტული საგენტოებისა და ტურისტული საინფორმაციო ცენტრისთვის ფართები უნდა გამოეყო; ჭავჭავაძის გამზირის დასავლეთით, 1 300 კვ.მ-ზე, ერთი წლის მანძილზე, მიწისქვეშა ავტოსადგომი უნდა მოეწყო; ერთი წლის მანძილზე, ქალაქის დასუფთავებისთვის, ქუთაისის მერიისთვის უცხოური წარმოების მეორადი ავტომანქანა უნდა გადაეცა.

დასასრული მე-6 გვერდზე

ვერსიანიუსი

ფოტოგრაფების საქმეს თავიდან გამოიძიებენ

22 ოქტომბერს, მთავარ პროკურატურაში, ფოტოგრაფი გია აბდალაძე ჩვენებას რამდენიმე საათის განმავლობაში აძლევდა. მისი განმარტებით, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, არჩილ კბილაშვილს მან და მისმა კოლეგებმა მიმართეს, რის საფუძველზეც ის უწყებაში დაიბარეს

გია აბდალაძის განცხადებით, საგამოძიებო უწყების კითხვები დაკავების მომენტიდან, ციხეში გატარებულ პერიოდს შეეხო. დაკითხვა დღესაც გაგრძელდება, რის შემდეგაც უწყებაში, სავარაუდოდ, დანარჩენ ფოტორეპორტიორებსაც დაიბარებენ.

„აინტერესებდათ, რა ხდებოდა სახლში. რა ფსიქოლოგიურ ზეწოლას ჰქონდა ადგილი ციხეში...“, — განაცხადა გიორგი აბდალაძემ. მისივე თქმით, მთავარი მოთხოვნა საქმეზე საიდუმლო „გრიფის“ მოხსნა, საზოგადოებისთვის გაცნობა და დამკვეთების დასჯაა. გიორგი აბდალაძე პროკურატურაში მეორე დღესაც დაიბარეს.

2011 წლის ივლისში ფოტორეპორტიორები დააკავეს, მათ მაშინდელი შინაგან საქმეთა სამინისტრო ჯაშუშობაში ადანაშაულებდა.

„პირველი“

„წითელი პარასკევი“ გლდანის ციხეში

ვინ იყო წითური იგორ მამაი, რას ნიშნავს პატიმრების „დაშლა“ და რაფომ ეძახდნენ ოქრუაშვილს „ბოროს“

პატიმარი №0578

გლდანის ციხეში მოხვედრილი პატიმრების ოჯახის წევრებმა იცოდნენ, მათი შვილი ჯოჯოხეთში მოხვდა, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ, რომ ამ ჯოჯოხეთში მწველი ცეცხლი ყოველ პარასკევს განსაკუთრებით გიზგიზებდა — ამ დღეს კარანტინი იშლებოდა, რაც ნიშნავდა, რომ კორპუსებზე ოფიცრები არ რჩებოდნენ, საკარანტინო ნაწილში ჩადიოდნენ და ე.წ. დაშლაში მონაწილეობდნენ. „დაშლა“, ანუ ახლადმოყვანილი პატიმრების კამერებში გადანაწილება კი სასტიკი ცემა-ტყეპის ფონზე მიმდინარეობდა...

კარანტინი პატიმარმა №0578-მაც გაიარა, თუმცა ყველაფერი ძალიან უცნაურად დაიწყო. ციხეზე მიყვანილ პატიმარს ვიღაც წითური ახმახი გამოეცხადა, ცხვირი ცხვირზე მიადო და კბილებში გამოსცრა — მე ოფიცერი იგორ მამაი ვარ, ზედმეტ ხმას გავიგებ და ძვალ-რბილს გაგიერთიანებ. თუ არ გჯერა, იკითხე და გეტყვიან. ახლა გამომყევი, — და ოფიცერი პატიმარს კარანტინისკენ გაუძღვა.

„კი, მაგრამ ქართულად კარგად ლაპარაკობ, ძვალ-რბილის გაერთიანებაც ისეთი ტერმინია, უცხოელს თქმა და მოფიქრება რომ გაუჭირდება და წელან რა მითხარი, ვისი ვაი ვარო?!“, — ჰკითხა პატიმარმა და მამაიმაც იფეთქა.

„ვერ გაიგე, ხო, რა გითხარი? ახლა მაცადე“, — მამაიმ რაცია ჩართო და ბოლო ხმაზე იღრიალა, — რეჟიმი საკარანტინო ნაწილში!

ზუსტად სამ წუთში კარანტინში ნიღბიანი ოფიცრები გამოჩნდნენ, რომელთაც წინ რეჟიმის უფროსი, ოლეგ ფაცაცია მოუძღვოდა. მამაიმ მაშინვე მიახალა, პატიმარი მებლატავებაო და პატიმარი №0578 ოფიცრებმა წრეში მოაქციეს. მოულოდნელად, ფაცაციამ თვალები მოჭუტა და პატიმარს სახეზე დააკვირდა. მერე გაიღიმა და მშვიდად ჰკითხა, — რატომ არ ისვენებ, ბიჭო?!

ახლა მამაი გაოცდა, პატიმარს ისიც დააკვირდა და მერე ფაცაციას მიუბრუნდა — „გეშლება უფროსო, ეს კაცი პირველად არის ჩვენთან მოყვანილი, მემახსოვრებოდა. არ იცნობ და გეშლება მგონი“, — ამოილუღლუღა მამაიმ.

„არ მეშლება, კარგად ვიცი, ეს ვინც არის. შეეშვით, კამერაში აიყვანეთ და კიდევ თუ რამეს გაბედავს, მერე მართლა დავლეწავ“, — გამოაცხადა ფაცაციამ.

პატიმარი კარანტინის მეხუთე კამერაში შეაგდეს და სანამ კარს მიხურავდნენ, უკანვე გამოვარდა.

„რა ხდება“, — გაფითრდა მამაი.

„მუხაძეს დაუძახე, მე აქ არ გავჩერდები. 12 კვადრატულში 30 კაცია, დასაჯდომი კი არა, ცალ ფეხზე დგას ხალხი, სულ გაგიჟდით თქვენ?!“

მამაიმ გამარჯვებულის სახით რაცია პირთან მიიტანა და ბედნიერი ღიმილით ჩასძახა — რეჟიმი საკარანტინო ნაწილში.

ფაცაცია და მისი აფთრები მაშინვე იქ გაჩნდნენ. როცა ოლეგმა იგივე პატიმარი დაინახა, გაცოფდა, თუმცა №0578-მა ვითარება აუხსნა და კარანტინშიც შეახედა.

„ამაღამ არაფრის შანსი არ არის, ხვალ დილით ვნახოთ, ახლა უნდა გაძლო“, — უთხრა პატიმარს და ისიც ბედს დამორჩილდა.

როგორც წესი, კარანტინში ახლადმიყვანილი პატიმრები ჰყავდათ და უმრავლესობა პირველად მოხვედრილი. მათ სახეზე ეწერათ, რომ გაუგებრობაში იყვნენ და ყველაფერს გაფართოებული თვალებით ათვალიერებდნენ. ახლადშესულს სკამი დაუთმეს, დაისვენეო, მაგრამ №0578-მა იუარა — მე დასვენებული ვარ, თქვენ კიდევ შავ დღეში და ვინც ყველაზე დაღლილია, იმან დაისვენოს. თუ დავიღლები, მოვნახავ ადგილს...

მოულოდნელად კუთხეში არსებული ნაჭრების შავი გროვა შეირხა. პატიმარს ნაგავი ეგონა, მაგრამ როცა კარგად დააკვირდა, იქიდან კაცი გამოძვრა.

„ვინ ხარ შენ?!“, — ჰკითხა პატიმარმა.

„ოქრუაშვილი ვარ გვარად, გორის რაიონის სოფელ ზერტიდან. რა გინდათ ჩემგან, ხომ აღარ ვიცვლი ტრუსიკს“, — მიატირა პატიმარმა. დანარჩენებს ჩუმად გაეცინათ.

„იცი, რა ხდება?! ქურდობის 12 ეპიზოდზეა დაჭერილი ეს ბიჭი. თურმე უსახლკაროა, ლოთია, რომ სძინავს, ბოდავს. ჰოდა, სუნი უდიოდა რომ მოიყვანეს, ბოდიში მოგვიხადა, არ გამომიცვლია ორი დღეაო. ჯიბიდან ტრუსი დააძრო, გამოიცვალა. გამონაცვალი კი გარეცხა და აქ გაკიდა. კინაღამ მოვკალით, აქ ჰაერი არ არის და ახლა კიდევ ამის ტრუსიკის გაშრობას უნდა დავლოდებოდით. ჰოდა, ეგონა, ისევ იმაზე მცემენო“, — უპასუხეს ახლადმოსულს.

პატიმარმა გორელის წინ ჩაიმუხლა და ჰკითხა — 12 ეპიზოდს როგორ გედავებიან, ჩვეულებრივი ბომჟი ხარ?!

„არ ვარ... რა მითხარი, რა ხარო?! მე არაფერი მომიპარავს, მანქანის ქვეშ მეძინა და დამიჭირეს“, — ამოილუღლუღა ოქრუაშვილმა.

„ირაკლი ოქრუაშვილი შენი რა არის, ან შენ რა გქვია?!“

„არ ვიცნობ, მაგრამ დიდი გვარი არ არის და მით უმეტეს, გორელები ყველა ერთმანეთის ნათესავია. სოფელში „ბოროს“ მეძახიან, დიდი თავი გაქვსო“...

მეორე დღეს №0578 ციხის საკანში პირადად ფაცაციამ აიყვანა.

„ეს გორელი რომ გყავთ, ათლარიანის ზემოთ კუპიურას ვერ გაარჩევს და რა 12 ეპიზოდს ედავებით, გადაირიეთ?!“ — საკნისკენ მიმავალ გზაზე ჰკითხა ფაცაციას.

„ასეა, როცა სარკეების, მაგნიტოფონების, მოკლედ, წვრილმანი ქურდობის ფაქტებია და ვერ იხსნება, შეკრავენ ერთად, ვინმე ბომჟს დაიჭერენ და შეტენიან. ამას 12 ეპიზოდზე კაი 30 წელი ეკუთვნის, მაგრამ 2 წელს მისცემენ, გამოსწორდება, სმას გადაეჩვევა და გავა გარეთ. ორივესთვის მომგებიანია, თუ უკვირდები“, — ღიმილით უთხრა ფაცაციამ.

ორი თვის შემდეგ ფაცაცია და №0578 ისევ უკან, კარანტინისკენ მიდიოდნენ.

„რა უთხარი იმ ოფიცერს ისეთი, მუხაძესთან რომ ავიდა, ეს პატიმარი გააკარცერეთო?!“, — ჰკითხა ფაცაციამ.

„არაფერი განსაკუთრებული, ჩემს კამერაში პაპა რომ გვყავს, 65 წლის კაცი, იმას დაარტყა, რატომ გაიღიმეო და ვუთხარი, ამება ხარ-მეთქი. მაშინ არაფერი უთქვამს, დღეს მოვარდა ღრიალით, ვინ არის შენი ამებაო. არ იცოდა ალბათ და წაიკითხა სადმე“, — გაეღიმა №0578-ს.

კარანტინში შესულმა პატიმარმა ისევ მოავლო საკანს თვალი. სულ შვიდნი იყვნენ და ეს გასაგებიც იყო — კარანტინი წინა დღეს დაეშალათ. ამ შვიდში ერთი პატარა ბიჭიც ერია, ასე 19-20 წლის იქნებოდა, თავდახრილი იჯდა და ხმას არ იღებდა. მოულოდნელად, საკნის კარი გაიღო და კამერაში იგორ მამაიმ შემოალაჯა.

„სალამი, უფროსო, უკრაინელი ყოფილხარ, ბიჭებმა მითხრეს“, — გაუღიმა №0578-მა.

„შენ აღარ გაბლატავებ, იცოდე. ოლეგამ მითხრა, თუ რამე, დალეწეო“, — იღრიალა მამაიმ.

„არ უყვარხარ მაგ შენ ოლეგას, თორემ უნდა იცოდე, რომ ჩემი დალეწვა და შენი სამსახურიდან წასვლა ერთია, მერე, გარეთ რომ შევხვდებით ერთმანეთს, დალეწვა როგორ უნდა, განახებ. თუ ხელი მომხვდება, გპირდები, შევხვდებით“, — უთხრა პატიმარმა.

მამაის სახე აელეწა, ჯერ ჩაფიქრდა, მერე კი ფეხი მოიქნია და იმ პატარა ბიჭს მუცელში ჩააზილა.

„შე ნაბიჭვარო, რატომ დაჭერი ის პატიოსანი კაცი, ხომ ხარ ღირსი, მოგკლა“, — მიაძახა მამაიმ.

„მამაი... მამაი-მეთქი“, — უკვე №0578-მა იღრიალა. უკრაინელი ოფიცერი კამერიდან გინებით გავიდა.

„ჰო, მამაი, მამაი...“, — ამოილუღლუღა იმ პატარა ბიჭმა და №0578-მა ახლა მას მიხედა. მაისური გაიძრო, წყალში დაასველა და აწითლებულ მუცელზე დაადო. ის კი ჩუმად ლუღლუღებდა — „მამაი, მამაი...“

„კარგი, რაღას ახსენებ, მაგის ჯიში და დედაც“, — შეიკურთხა პატიმარმა და ბავშვმა ტირილი დაიწყო, რატომ აგინებო.

„ვინ ხარ შენ?!“ — გაოცდა №0578.

„გორელი ვარ, ზერტიდან. ოქრუაშვილი ვარ გვარად. დაიჭირეს მამაი ორი თვის წინა, რაღაც მოიპარაო. სახლში სამი და მყავს და ხომ უნდა მერჩინა?! მეზობელს დავეხმარე მშენებლობაში, იმან კიდევ ფული არ მომცა, რაში გჭირდება, საჭმელი ხომ გაჭამეო. ჰოდა, ხელიდან გამოვგლიჯე 50 ლარი და გამოვიქეცი. გამომეკიდა დანით და წაიქცა. დანა მუცელში გაეყარა და ახლა ამბობს, ამან დამჭრაო“, — სლუკუნით ყვებოდა პატიმარი.

„რა ჰქვია შენს მამაის?!“

„ბოროს“ ეძახიან სოფელში, დიდი თავი აქვს“, — ამოიქსუტუნა გორელმა.

* * *

რუსთავის №17 დაწესებულებაში მიყვანილი პატიმარი №0578 მამა-შვილს შემთხვევით შეხვდა. მამას სამი წელი ჰქონდა, შვილს — შვიდი და ერთ კამერაში ცხოვრობდნენ. №0578 ვერც ერთმა ვერ გაიხსენა, მაგრამ საკარანტინო ნაწილის ერთ-ერთი ჯალათი, ოფიცერი იგორ მამაი ორივეს ახსოვდა.

ექსკლუზივი

დარღვევები ქუთაისის მერიაში

მე-5 გვერდიდან

სახელმწიფო აუდიტებმა გაარკვიეს, რომ ამ ვალდებულებებიდან, ინვესტორმა მხოლოდ ერთი შეასრულა, კერძოდ, სავაჭრო-კომერციული ობიექტი ააშენა. თუმცა განახორციელა თუ არა 2 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია, ქუთაისის მერიაში ინფორმაციას არ ფლობენ. 2011 წლის 10 იანვარს, საინვესტიციო პირობების შეუსრულებლობისთვის, „იბერიის ვარსკვლავს“ ხელშეკრულება შეუწყდა. იმავე წლის 24 ივნისს, საქმის სასამართლოში განხილვის შემდეგ, მხარეები მორიგდნენ და შპს „იბერია ვარსკვლავს“ ხელშეკრულება აღუდგინეს. რაც მთავარია, ჭავჭავაძის გამზირის დასავლეთით მდებარე 1 300 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელიც 2010 წლამდე შპს „იბერია ვარსკვლავს“ ეკუთვნოდა და რომელზეც კომპანიას მიწისქვეშა ავტოსადგომი უნდა მოეწყო, ახლა ქუთაისის მერიის განკარგულებაშია. სახელმწიფო აუდიტის დასკვნის მიხედვით, დღეს ამ ტერიტორიაზე არარეგისტრირებული ფასიანი ავტოსადგომი მოქმედებს.

2008 წლის 26 აგვისტოს, შპს „ოქროს ჩარდახი პლუსს“, ცისფერყანწელთა ქუჩაზე, 105 კვ.მ. და 189 კვ.მ. მიწის ფართები გადასცეს. ინვესტორი ვალდებული იყო, ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში, ამ მიწის ფართობებზე, „ქუთაისის ისტორიული ცენტრის რეაბილიტაციის“ პროექტთან შესაბამისი შენობა-ნაგებობები აეშენებინა; ამ შენობაში ბიზნესის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრი უნდა განეთავსებინა; ერთი წლის მანძილზე, 1 000 000 ლარის ინვესტიცია უნდა განეხორციელებინა; ბიზნესის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრში 80 ადამიანი უნდა დაესაქმებინა; მშენებლობის დროს, მესამე პირთათვის 12 000 აშშ დოლარის კომპენსაცია უნდა გაეცა. აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ შპს „ოქროს ჩარდახი პლუსს“, ხელშეკრულებით გათვალისწინებული არცერთი ვალდებულება არ შეუსრულებია.

2008 წლის 8 თებერვალს, შპს „თ და კ რესტორნებს“, ჭავჭავაძის გამზირზე, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთი გადასცეს. ხელშეკრულებით, ინვესტორი ვალდებული იყო, უსახლკაროთათვის ბინების შეძენის მიზნით, ქუთაისის მერიისთვის 20 000 ლარი გადაერიცხა; ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 თვის განმავლობაში, ჭავჭავაძის გამზირზე გამოყოფილ ფართზე „მაკდონალდსის“ შენობა უნდა აეშენებინა და 1 700 000 ლარის ინვესტიცია განეხორციელებინა; რესტორნის ტერიტორიაზე საბავშვო ცენტრი და მინი-პარკი უნდა მოეწყო. შპს „თ და კ რესტორნებმა“ მხოლოდ „მაკდონალდსის“ შენობა და საბავშვო ცენტრი ააშენეს, მაგრამ 1 700 000 ლარის ინვესტიცია განახორციელეს თუ არა, ქუთაისის მერიაში ინფორმაციას არ ფლობენ. რაც შეეხება უსახლკაროთათვის ბინების შესაძენად, მერიისთვის გადასარიცხ 20 000 ლარს, კომპანიას ეს პირობა დღემდე არ შეუსრულებია.

2008 წლის 24 ივლისს, შპს „ბიარ მასტერს“, რუსთაველის №9 ბ-ში მდებარე, 61 კვ.მ. შენობა-ნაგებობა და მასზე მიმაგრებული, 84 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გადაეცა. ხელშეკრულების მიხედვით, ინვესტორი ვალდებული იყო, რომ 2008 წლის 15 სექტემბრამდე, ქუთაისის მერიასთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით, ამ შენობაში სანიტარული კვანძი მოეწყო; რუსთაველის №9-ში, 1 450 კვ.მ. მიწის ფართზე კი გზების რეაბილიტაცია და სკვერების მოწყობა ევალებოდა. აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ ინვესტორს არცერთი ვალდებულება არ შეუსრულებია.

ხელშეკრულება, რომელზეც მერია ინფორმაციას არ ფლობდა!

2002 წლის 20 აგვისტოს, ქუთაისის მერიასა და შპს „თეგეტა მოტორსს“ შორის საიჯარო ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულების მიხედვით, „თეგეტა მოტორსს“ 10-წლიანი ვადითა და მოვლის უფლებით, ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირზე მდებარე 136 კვ.მ. გამწვანების ზოლი-გაზონი გადაეცა. კომპანიას გამოყოფილი ტერიტორიის მოვლა ევალებოდა და გამწვანების ზოლი-გაზონის ფუნქციის შეუსაბამო საქმიანობა არ უნდა დაეშვა; ხელშეკრულებით გათვალისწინებული 10-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ, ეს ტერიტორია ქუთაისის მერიისთვის უნდა დაებრუნებინა; ქალაქის ბიუჯეტში ყოველწლიურად 500 ლარი უნდა შეეტანა.

2004 წლის 5 აპრილს, მხარეებს შორის დამატებითი ხელშეკრულება გაფორმდა, რომლითაც „თეგეტა მოტორსს“, იგივე პირობებით, 136 კვ.მ. გამწვანების ზოლი-გაზონის გაგრძელებაზე, კიდევ 40 კვ.მ. გაზონი გადაეცა. ყოველწლიური 500-ლარიანი საიჯარო გადასახადის ნაცვლად, კომპანიას 600 ლარის გადახდა დაეკისრა. დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, „თეგეტა მოტორსმა“, ამ ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობა ააშენა, რომელსაც კომერციული საქმიანობისთვის იყენებდნენ.

ორივე ხელშეკრულების მიხედვით, „თეგეტა მოტორსი“ ვალდებული იყო, გამოყოფილი ტერიტორიისთვის მოევლო და გამწვანების ზოლის შეუსაბამო საქმიანობა არ დაეშვა. რეალურად, ამ ტერიტორიაზე კომერციული შენობა თავად „თეგეტა მოტორსმა“ ააშენა, რითაც ხელშეკრულების პირობა დაარღვია. გარდა ამისა, 10-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ, ანუ 2012 წელს, შპს „თეგეტა მოტორსს“ ეს ტერიტორია ქუთაისის მერიისთვის უნდა დაებრუნებინა, მაგრამ საიჯარო ვადის დასრულების მიუხედავად, ხელშეკრულების ვადის გაგრძელების გარეშე, ამ ტერიტორიას კვლავ შპს „თეგეტა მოტორსი“ იყენებს.

2009-2012 წლებში, შპს „თეგეტა მოტორსი“ საიჯარო ქირას არ იხდიდა, რაზეც ქუთაისის მერიის შესაბამისი სამსახურები ინფორმაციას არ ფლობდნენ. აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ მერიაში არა მარტო დავალიანების, არამედ — ამ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესახებაც კი არაფერი იცოდნენ. ეს ყველაფერი ქუთაისის მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა მას შემდეგ შეიტყვეს, რაც სახელმწიფო აუდიტებმა მათგან ხელშეკრულებისა და საიჯარო ქირის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა მოითხოვეს. აქედან გამომდინარე, „თეგეტა მოტორსის“ 2 200-ლარიანი დავალიანება, რომელიც 2009-2012 წლებში დაგროვდა, კომპანიამ აუდიტის პერიოდში 2012 წლის 31 დეკემბერს გადაიხადა, ხოლო დაგვიანებით გადახდაზე დაკისრებული 1 400-ლარიანი საურავი — 2013 წლის 18 იანვარს.

„საქართველოს ბანკი“ სტუდენტებს ამერიკაში სწავლას დაუფინანსებს

ბანკი და ამერიკის საელჩო საქართველოში ფულბრაიტის სამაგისტრო პროგრამის თანადაფინანსების შესახებ აცხადებენ

„საქართველოს ბანკი“ კიდევ უფრო მეტ სტუდენტს აძლევს საშუალებას, სამაგისტრო პროგრამა საზღვარგარეთ გაიარონ. ამჯერად, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან ერთად, აშშ-ს მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული, ფულბრაიტის (Fulbright) პროგრამის ფარგლებში. ფულბრაიტის სტიპენდიის თანადაფინანსების შეთანხმების შესახებ, „საქართველოს ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა და ამერიკის ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა ისაუბრეს. ორ სტუდენტს, რომლებსაც სურთ, სწავლა განაგრძონ ბიზნესის ადმინისტრირების, ინფორმაციული ტექნოლოგიების ან საინჟინრო მიმართულებით ამერიკაში, „საქარველოს ბანკი“, ფულბრაიტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, დააფინანსებს.

ფულბრაიტის სამაგისტრო პროგრამა ღია კონკურსია, რომელსაც თბილისში ადმინისტრირებას უწევს აშშ-ს საელჩოს საზოგადოებრივ საქმეთა განყოფილება. პროგრამის მიზანია მხარი დაუჭიროს სტუდენტებს, რომელთაც სურთ სწავლის გაგრძელება აშშ-ში, მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად, ნებისმიერ დისციპლინაში. ფულბრაიტის სამაგისტრო პროგრამის მთავარი სპონსორია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საქმეთა ბიურო.

„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის, ირაკლი გილაურის განმარტებით, ბანკის მიზანია საქართველოში თუ საზღვარგარეთ სწავლისთვის სტიპენდიების დაწესებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტის მხარდაჭერის გზით, რაც შეიძლება მეტ ადამიანს მისცეს შესაძლებლობა მიიღოს საუკეთესო განათლება.

ირაკლი გილაური: „განათლების მხარდაჭერა, „საქართველოს ბანკის“ მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ჩვენ უკვე ვახორციელებთ განათლებაში ინვესტირებას რამდენიმე კუთხით. მათ შორის, „საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის“ კუთხით — 10 სტუდენტს, ჩვენი დახმარებით, უფასოდ შეუძლია განათლების მიღება. დღეს კი, ჩვენთვის დიდი პატივია გაცნობოთ, რომ უკვე ამერიკის მთავრობასთან ერთად, მეტ ქართველ სტუდენტს მივცემთ საშუალებას ისწავლონ ამერიკაში. მოხარული ვარ, რომ წელს, „საქართველოს ბანკმა“ თანამშრომლობა დაიწყო ისეთ პრესტიჟულ საგანმანათლებლო პროგრამასთან, როგორიცაა აშშ-ს მთავრობის ფულბრაიტის სტიპენდია. ეს თანამშრომლობა საშუალებას მისცემს ყოველწლიურად კიდევ 2 ახალგაზრდას საქართველოდან, მიიღოს დაფინანსება, აშშ-ს რომელიმე უნივერსიტეტის ორწლიან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლისთვის. „საქართველოს ბანკი“ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამსაქმებელია და ჩვენთვის, განათლებაში ინვესტირება მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ განვითარების ახალ მწვერვალებს მიაღწიოს“.

ამერიკის ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა, „საქართველოს ბანკის“ ინიციატივას, ინვესტიცია განახორციელოს განათლებაში, ფანტასტიკური გადაწყვეტილება უწოდა და ბანკის წარმომადგენლებს, წლების თანამშრომლობისთვის, მადლობა გადაუხადა. **რიჩარდ ნორლანდი: „სასიამოვნოა, რომ ბანკი ხელს უწყობს კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობას. ეს საშუალებას მოგვცემს, მივაღწიოთ საერთო მიზანს — იყოს მეტი შესაძლებლობა განათლებაში. უმაღლესი განათლება, უმნიშვნელოვანესია ყოველდღიური განვითარებისთვის. მოგეხსენებათ, ამერიკული ინვესტიცია ხორციელდება საქართველოს უმაღლეს განათლებაში. ჩამოვლენ ამერიკული უნივერსიტეტის წარმომადგენლები, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას ამ მნიშვნელოვან საქმეში. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ცოდნისა და გამოცდილების მიღებას ამერიკაში, „საქართველოს ბანკის“ ეს გადაწყვეტილება, ნამდვილად ფანტასტიკურია, რადგან ბანკი აძლევს საშუალებას სტუდენტებს, მიიღონ სამაგისტრო განათლება საზღვარგარეთ. ფულბრაიტის პროგრამის ფარგლებში, ამერიკისა და საქართველოს მთავრობების მიერ, ყოველწლიურად 6 სტუდენტის წარგზავნა ხდება. კერძო სექტორის მონაწილეობით კი, 2 სტუდენტი დაემატება“.**

„საქართველოს ბანკის“ მხარდაჭერით, პირველი ორი სტუდენტი აშშ-ში უკვე მომავალ სასწავლო წელს გაემგზავრება. სტუდენტებს 2014 წლის შემოდგომაზე, კონკურსის შედეგად შეარჩევენ.

ნინო ლურსმანაშვილი

ლუბა ელიაშვილი ახალ ამპლუაში

ჟურნალისტი ლექსების კრებულის გაყიდვიდან შემოსული თანხას სიმსივნით დაავადებულ ბავშვებს გადაურიცხავს

ᲔᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ
557-100-768

„მოვიქცეთ ჯაზურად“ — ამ სახელწოდებით გამოსცა ცნობილმა ჟურნალისტმა ლუბა ელიაშვილმა საკუთარი ლექსების პირველი კრებული. წიგნის გაყიდვიდან შემოსული თანხის გადარიცხვას სოლიდარობის ფონდში, სიმსივნით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად აპირებს. ჟურნალისტი პოეტი უკვე მეორე კრებულზეც მუშაობს, რომელსაც საზოგადოებას უახლოეს მომავალში შესთავაზებს. „ვერსია“ ლუბა ელიაშვილთან ინტერვიუს გთავაზობთ.

— კრებულში როგორც კონვერციული, ასევე თეთრი ლექსებია წარმოდგენილი. რაც შეეხება თემატიკას, არის ლირიკული პოეზიაც და ჩვენი ქვეყნის თავზე გადავლილი ქარტეხილების შესახებ დაწერილი ლექსებიც.

— „მოვიქცეთ ჯაზურად“ — რატომ უწოდეთ ასე თქვენ პირველ კრებულს?

— კონკრეტულად ჯაზთან კრებულს არაფერი აქვს საერთო, თუმცა წიგნის პრეზენტაციაზე ჯაზბენდმა დაუკრა. ფრაზა „მოვიქცეთ ჯაზურად“ კრებულში შესული ლექსიდან არის. „გაჯაზება“ ჩემი სიყმაწვილისდროინდელი სლენგია, რაც თავისუფალ, ლაღ ქცევას ნიშნავს, რომელიც არსით ჰგავს კიდეც ჯაზურ მუსიკას. ამას ჩემზე უკეთ წიგნის რედაქტორი, მიხო მოსულიშვილი განმარტავს თავის წინათქმაში.

— საინტერესოა, როდის დაწერეთ პირველი ლექსი?

— პირველი ლექსით დედას მივულოცე რვა მარტი ექვსი წლის ასაკში. წერა-კითხვა მაშინ უკვე ვიცოდი და ამიტომ ღია ბარათზე ჩემი ხელით დავწერე.

— მართალია, რომ უკვე მეორე კრებულზე მუშაობთ?

— მინდა, ასი ლექსი გამოვცე. ამ ბოლო ხანებში რამდენიმე ახალი ლექსი დავწერე და ასიც მალე მექნება.

— ცნობილია, რომ ქველმოქმედებაშიც აქტიურად ჩაერთეთ...

— აქტიურობის რა მოგახსენოთ, ის კი მინდა, პირველი კრებულის გაყიდვიდან შემოსული მთელი თანხა გადავრიცხო სოლიდარობის ფონდში, სიმსივნით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად. ვინც წიგნს პრეზენტაციაზე შეიძენს, ყველა მიიღებს მონაწილეობას ამ საქველმოქმედო აქციაში.

— მაყურებელს მოენატრეთ, ხომ არ გეგმავთ, პროფესიას დაუბრუნდეთ?

— ძალიან ძვირფასია ჩემთვის საქმე, რომელსაც ტელევიზიაში ვაკეთებ, ამიტომ, ვიდრე არ ვიგრძნობ, რომ ძველებურად ყოჩაღად შემიძლია მუშაობა, ვერ დავბრუნდები. ჯერჯერობით, ძალისა და ემოციების დაზოგვა მიწევს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, თუმცა ტელევიზია ძალიან მიყვარს და უკვე მოფიქრებული მაქვს, რა პროექტზე ვიმუშავებ სიამოვნებით. ვფიქრობ, გავაგრძელებ ლექტორობასაც. მოსწავლეებისგან დიდი სიყვარული და მხარდაჭერა დავინახე. ჩემს მოწაფეებს შორის წარმატებული პროფესიონალიც ბევრია, ამიტომ მგონია, ამ საქმის ღალატის უფლება არ მაქვს.

— ზოგადად, მედიაში არსებულ ვითარებას როგორ შეაფასებთ? დიდი ხანია პოლიტიკოსების აგრესიისა და კრიტიკის ობიექტი გავხდით.

— ჟურნალისტიკა ისეთი პროფესიაა, კრიტიკა არ უნდა გვიკვირდეს. მთავარია, სულის სიღრმეში ვიცოდეთ, რომ პატიოსნად ვაკეთებთ საქმეს და მართლები ვართ საკუთარი სინდისის წინაშე, არ ვარღვევთ პროფესიულ ეთიკას. ჩვენი პროფესია უზარმაზარ ძალაუფლებას განიჭებს, ამიტომ, ალბათ, ექიმებივით ჩვენც უნდა გვახსოვდეს სლოგანი — არ ავნო. თუმცა, ექიმებისგან განსხვავებით, ჩვენი საზრუნავი მთლიანად საზოგადოებაა და ამიტომ შეიძლება, ზოგჯერ კონკრეტულ ადამიანს, განსაკუთრებით კი მათ, ვინც საზოგადოების ბედს წყვეტს, ანუ პოლიტიკოსებს ვაწყენინოთ კიდეც.

მთავარია, ცივილიზებული და ღირსეული ურთიერთობის ფორმებს არ გავცდეთ, თორემ ორივე ვზარალდებით. საკუთარ თავზე გამოვცდე, როცა ჟურნალისტების ყურადღების ობიექტი გავხდი, რა ძნელია, ისეთ რამეს რომ წაიკითხავ შენზე, რასაც სიმართლესთან ახლოსაც არ ჩაუვლია და არაფერი აქვს საერთო. მედიაში არსებული ვითარების შეფასებას რაც შეეხება, მოკლედ ვიტყვი, „მედია ჭრელია“ და დემოკრატიის შემადგენელი ნაწილი სწორედ მედიის მრავალფეროვნებაა.

„აზალეპტინი“ — პატიმრების კონტროლის საშუალება

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

სექსუალური დისფუნქცია, ჰალუცინაციები, დამბლა, სუიციდი — ფსიქოტროპული პრეპარატების მიღების შედეგი

ნაციონალური ხელისუფლება პატიმრებს როგორც ექცეოდა, საიდუმლო არავისთვისაა — ცემა, მორალური თუ ფიზიკური ტერორი მათთვის ჩვეული ყოველდღიურობა იყო, თუმცა ახლახან „ვერსიას“ ერთ-ერთმა ყოფილმა პატიმარმა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი გაუმხილა და დასძინა, ბოლო დროს გახშირებული ძალადობა, სუიციდი სწორედაც ამის შედეგიაო... საქმე კი ის გახლავთ, რომ თურმე პატიმრებს დიდი რაოდენობით ფსიქოტროპულ პრეპარატს — „აზალეპტინს“ აძლევდნენ ერთადერთი მიზეზით — ნაკლებად აგრესიულები ყოფილიყვნენ, ზედმეტი კითხვები არ დაესვათ და სექსუალური მოთხოვნილებაც არ ჰქონოდათ, რადგან ეს პრეპარატი, სექსუალურ ფუნქციას აქვეითებს. წამალს კი, როგორც ირკვევა, მეტად მარტივად — ბალანდას საშუალებით აპარებდნენ — ძაან არ გაეგოთ ახლა პატიმრებს, რა მინარევები ჰქონდა ისედაც უგემურ საჭმელს. ეს ინფორმაცია „ვერსიასთან“ ინტერვიუში დამოუკიდებელმა ექსპერტმა მაია ნიკოლეიშვილმაც, ფაქტობრივად, დაადასტურა და სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, გაგვერკვია, რა წამალია „აზალეპტონი“, რა უკუჩვენება აქვს და რას იწვევს მისი ხანგრძლივად და უკონტროლოდ მიღება.

დახმარებისთვის ექიმ ფსიქიატრს — **მადონა ცირეკიძეს** მივმართეთ, რომელიც ღუდუშაურის კლინიკაში შესულ პატიმრებს მკურნალობდა: **„ვერ გეტყვით, აძლევდნენ თუ არა პატიმრებს ამ პრეპარატს, თუმცა იმის თქმა დანამდვილებით შემიძლია, რომ არაერთი პატიმარი შემოსულა კლინიკაში ტრანკვილიზატორებსა და ანტიდეპრესანტებზე დამოკიდებული, უპირატესად, წარმოდგენილი იყო შემდეგი პრეპარატები: დიაზეპამი, ზოლომაქსი, ქსანაქსი, ციკლოდოლიც კი. აღნიშნულ პრეპარატებს პატიმრები დღეში 8-10 აბს იღებდნენ... და როგორც ამბობდნენ, ციხეში არ განიცდიდნენ მათ დეფიციტს, აღნიშნავდნენ, რომ მათ ციხეში დაიწყეს ეს „სიამოვნება“.**

საინტერესოა, საიდან შედის მსგავსი წამლები ციხეში, თუ ვიღაცის ინტერესში არ არის მათი შეტანა?! — ამ კითხვაზე პასუხის მიღება მარტივი არ არის, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფსიქოტროპული პრეპარატები ციხეზე ისედაც აქვთ „ურჩი“ პატიმრების დასაოკებლად... თუმცა აქ მნიშვნელოვანი უფრო წამლის რაოდენობაა და არა თავად მისი არსებობა ზონაზე: **„საერთოდ, ციხეში არის გარკვეული ჯგუფი, რომელსაც დანიშნულებისამებრ აძლევენ ფსიქოტროპულ საშუალებებს (ნეიროლეპტიკებს, ტრანკვილიზატორებსა და ანტიდეპრესანტებს), მაგრამ მათი მიღება ექიმის დანიშნულების გარეშე და თანაც განუსაზღვრელი რაოდენობით, მეტად საშიშია. პატიმრებში ხშირად გვხვდება მყარი უძილობა, ფსიქოზური აშლილობები, რომელიც მოითხოვს მდგომარეობის კუპირებას, რაც შეუძლებელია ფსიქოტროპული საშუალებების გარეშე, საკმაოდ მნიშვნელოვანი წილი უკავიათ ფსიქოპათ პატიმრებს (უპირატესად, აგზნებადი და მოზაიკური წრის), რომლებსაც უჭირთ და რიგ შემთხვევებში, არ ძალუძთ, მართონ საკუთარი ემოციები თუ ქცევები. ყველა შემთხვევა მოითხოვს ფსიქოტროპული საშუალებების გეგმაზომიერ და ფრთხილ გამოყენებას, პატიმრის ინდივიდუალიზმის შესაბამისად, მაგრამ დამეთანხმებით, ასეთი მიდგომა ციხის პირობებში შეუძლებელია — ფსიქიატრიულ კლინიკებშიც კი უჭირთ ასეთი ინდივიდუალურობის გათვალისწინებით ზუსტი მიდგომა და მით უმეტეს, ციხის პირობებში ვინ დაუწყებს მათ თანგადაყოლას? ეს საკმაოდ, რთული პროცესია და არა, ერთჯერადი, მაგრამ განუსაზღვრელი რაოდენობით აღნიშნულ პრეპარატთა მიცემა ყოვლად დაუშვებელია, მეტიც — დანაშაულია და თუ ჯანმრთელ ადამიანებს აძლევდნენ, აქ კომენტარიც ზედმეტია“.**

ეს ყველაფერი გასაგებია, თუმცა საყურადღებოა თავად პრეპარატ „აზალეპტინის“ არსი, რომელიც ფსიქოტროპულ საშუალებათა მთავარი, ნეიროლეფსიური ჯგუფის პრეპარატია, 99%-ში გამოიყენება ფსიქოზური რეგისტრის აშლილობების დროს, ინიშნება ექიმი-ფსიქიატრის მიერ, თავიდან ძალიან მცირე დოზით. გვერდით მოვლენებს განეკუთვნება თავისტკივილი, ძილიანობა, თავბრუსხვევა, დეპრესია, პოტენციის დაქვეითება და ბევრი სხვა. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ პრეპარატს ადამიანი დიდი დოზით, ხანგრძლივად და ექიმის მეთვალყურეობის გარეშე იღებს? — პრეპარატის გადაჭარბებულმა მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს ჰალუცინაციები, ცნობიერების შეცვლა, განგაში, აჟიტაცია (აგზნება), დიდი ეპილეფსიური გულყრაც კი... უკონტროლო მიღებისას შესაძლებელია ლეტალური გამოსავალი დადგეს და ამ ფონზე სულაც არაა გასაკვირი ძალადობის ფაქტების გახშირება გათავისუფლებულ პატიმრებში — ისინი ალბათ ვერც აცნობიერებენ, რომ წამალდამოკიდებულნი არიან. მადონა ცირეკიძე აღნიშნავს, რომ **„ძალადობა ყოველთვის იყო, უბრალოდ მისი მასშტაბი იზრდება. მორალურ-ეთიკური ცნებების ჩამოუყალიბებლობა, სისუსტე, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის დამახინჯებული გრძნობა, სოციალურ-ეკონომიკური დესტაბილიზაცია, ზნეობრივი ფასეულობის სულ უფრო მზარდი დეფიციტი... ქცევის მოშლის ბევრ სახეს იწვევს, მათ შორის ტოქსიკომანიასა და ნარკომანიას, რასაც ხელს უწყობდა სააფთიაქო ქსელის მიერ (თუმცა, მათი ბრალეულობა ვერ დადასტურდება) ფსიქოტროპულ საშუალებათა „თავაშვებული“ გაცემა, რადგან არ იყო სახელმწიფოს ნება. მხოლოდ რამდენიმე ადამიანი ვაპროტესტებდით ამ ფაქტს, მაგრამ ბევრს ძარღვიც არ შეურხევია, დღეს ამ დუმილის შედეგებს ვიმკით. არ გამიგია, რომ პატიმრებს „აზალეპტინს“ ასმევდნენ უკონტროლოდ, მაგრამ როგორც გითხარით, ანტიდეპრესანტებსა და მცირე ტრანკვილიზატორებზე დამოკიდებული პატიმარი ბევრი შემხვედრია. სწორედ თქვენს გაზეთში იყო სტატია, როგორ მანიპულირებდა (შემთხვევა პაციენტის გარდაცვალებით დასრულდა) ექიმი-ფსიქიატრი პაციენტზე, მედიკამენტების საშუალებით და თუ ეს სწორი ინფორმაციაა, ამგვარი ადამიანი პატიმრებსაც არ დაინდობს... მინდა აღვნიშნო, რომ ფსიქოლოგიური მექანიზმით შესაძლებელია ადამიანის დათრგუნვა, თუმცა ამას დიდი დრო და ენერგია სჭირდება, პრეპარატებით კი ადვილია. ეს ჩემთვის მიუღებელია, ამაზრზენიც კი ისევე, როგორც ამაზრზენია, როცა ამგვარ მეთოდს პაციენტის „დასჯის“ მიზნით მიმართავენ ექიმი-ფსიქიატრები, ვითომდა მათი კონტროლის მიზნით“.** ძნელია, არ დაეთანხმო, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ადრე ციხეებში არსებულ ვითარებას. არც იმის მტკიცება შეგვიძლია, დღეს რამდენად შეიცვალა ყველაფერი, მაგრამ ფაქტი ერთია — „აზალეპტინი“ საკმაოდ საშიში პრეპარატია და როდესაც წამალდამოკიდებულს მისი მიღების საშუალება არ აქვს, კაცმა არ იცის, რას მოიმოქმედებს, თუ მანამდე ცოცხალი გადარჩა, რა თქმა უნდა... და ამ ვარაუდს ინტერნეტში გავრცელებული სკანდალიც ადასტურებს, რომელიც რუსეთის ერთ-ერთ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დატრიალდა: უეცრად გარდაიცვალა 25 წლის პაციენტი, რომელსაც შიზოფრენიისგან კურნავდნენ. ფიზიკურად იგი აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო, თუმცა ექსპერტებმა გარდაცვალების მიზეზად მიოკარდის ინფარქტი და პნევმონია დაასახელეს. ახალგაზრდის გარდაცვალებამ ეჭვი კლინიკაში არაერთ ადამიანს გაუჩინა, მათ ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას მიმართეს და აუხსნეს, რომ დიმიტრის ჯანმრთელობის მდგომარეობა მას შემდეგ გაუარესდა, რაც რომელიღაც ფსიქოტროპული წამლით დაუწყეს მკურნალობა. კომისიის იურისტებმა მიაღწიეს იმას, რომ საქმე უეცარი გარდაცვალების ფაქტზე აღიძრა, გამომძიებელმა კი გაარკვია — პაციენტი არასოდეს უჩიოდა ჯანმრთელობას, მკურნალ ექიმს ეგრევე გამოუცხადეს საყვედური, აი შემდეგ კი გამოიძიება ჩიხში შევიდა და მიჩუმათდა. არავის გაურკვევია, რა წამალს აძლევდნენ გარდაცვლილს. ანონიმურობის დაცვის გარანტიით კი, რამდენიმე ექიმმა განაცხადა, რომ სამამულო წარმოების პრეპარატების გარდა, ფსიქიატრიულებში არცთუ იშვიათად იყენებენ უცხოურ პრეპარატებს, რომელთა შორის ზოგიერთის მოხმარება სასტიკად აკრძალულია, მაგალითად ამერიკაში — ასეთია კოაქსილი, პროზაკი, ორაფლექსი, პაქსილი... ყველას ახასიათებს შემზარავი გვერდითი მოვლენები, გუდვით დაწყებული, ჰალუცინაციით, სიყრუით, დამბლით, აგრესიული ქმედებითა და სუიციდით დასრულებული. თუმცა არის პრეპარატები, რომლებიც ზემოჩამოთვლილზე ბევრად საშიშია, აქტიურ ქლორს შეიცავს და ხანგრძლივი მიღების შემთხვევაში მომაკვდინებელია — მაგალითად „აზალეპტინი“, რომლის მიღებისას სისხლის ყოველთვიური კონტროლი აუცილებელია, რადგან ფაქტობრივად ანგრევს სისხლის სტრუქტურას. აშშ-ში დაახლოებით 30 მილიონი ადამიანი იღებს ამ პრეპარატს, სხვა ქვეყნებში ეს მაჩვენებელი უცნობია, სამაგიეროდ ფაქტი ერთია — ამ პრეპარატების შედეგები ბოლომდე შესწავლილი არაა და აქედან გამომდინარე, არავინ იცის, კონკრეტულ შემთხვევაში, ვისზე როგორ იმოქმედებს, მით უმეტეს, საქართველოში, სადაც ციხე ყველა ხელისუფლებისთვის აქილევსის ქუსლადაა ქცეული და კონტროლის მექანიზმად ფსიქოტროპული წამლების გამოყენება გამოსავალი ნამდვილად არ არის.

სიახლე

თიბისი ბანკს სამი ახალი ვიცე-პრეზიდენტი ჰყავს

გიორგი თხელიძე, ნიკოლოზ ქურდიანი და დავით წიკლაური მსოფლიოს წამყვანი საფინანსო ინსტიტუტების ტოპ-მენეჯერები არიან

მაია მიშელაძე
593-51-90-12

თიბისი ბანკის დამფუძნებელმა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მამუკა ხაზარაძემ, ბანკის გენერალური დირექტორის სამი ახალი მოადგილე წარადგინა. ბანკის მენეჯმენტს გიორგი თხელიძე, ნიკოლოზ ქურდიანი და დავით წიკლაური, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად დაემატნენ. მნიშვნელოვანია, რომ ამ ცვლილებას ძველი თანამშრომლების გათავისუფლება არ მოჰყოლია. მამუკა ხაზარაძის განმარტებით, მას შემდეგ, რაც თიბისი ბანკის აქციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე წარმატებით განთავსდა, ბანკის ხელმძღვანელობამ სამი წამყვანი სპეციალისტის დამატება გადაწყვიტა.

მსოფლიოს წამყვანი საფინანსო ინსტიტუტების ტოპ-მენეჯერები, გიორგი თხელიძე, ნიკოლოზ ქურდიანი და დავით წიკლაური, ამიერიდან, თიბისი ბანკის ვიცე-პრეზიდენტები გახდნენ. როგორც მამუკა ხაზარაძემ აღნიშნა, მათ უმაღლესი მენეჯერული პოზიციები დატოვეს ისეთ მსხვილ საფინანსო ორგანიზაციებში, როგორებიცაა „ბარკლის საინვესტიციო ბანკი“, „უნიკრედიტ გრუპი“ და „დოიჩე ბანკი“. გიორგი თხელიძე რისკების მართვას, ნიკოლოზ ქურდიანი მიკროფინანსებს, ხოლო დავით წიკლაური კორპორატიულ საბანკო მიმართულებას უხელმძღვანელებს.

გიორგი თხელიძეს საფინანსო სფეროში მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება აქვს, რომელიც თიბისი ბანკს „ბარკლის საინვესტიციო ბანკიდან“ შეუერთდა. მსოფლიოს ერთ-ერთ უმსხვილეს ფინანსურ ინსტიტუტში, გიორგი თხელიძე ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა და აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებას კურირებდა. ლონდონში გამგზავრებამდე, მას საქართველოშიც წარმატებული ბიზნესკარიერა ჰქონდა. 2001 წლიდან, სადაზღვევო კომპანია „ალდაგში“, ის სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობდა, ხოლო 2005-2007 წლებში, „ალდაგის“ გენერალური დირექტორი იყო. 2000 წელს, გიორგი თხელიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 2002 წელს, ნოტინგჰემის უნივერსიტეტში საერთაშორისო კომერციული სამართლის მაგისტრის ხარისხი, ხოლო 2009 წელს, ლონდონის ბიზნეს-სკოლიდან, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი მოიპოვა.

ნიკოლოზ ქურდიანს საბანკო სფეროში მუშაობის 11-წლიანი გამოცდილება აქვს. ხუთი წლის განმავლობაში, „უნიკრედიტ გრუპის“ ავსტრიისა და ყაზახეთის წარმომადგენლობებში, წამყვან პოზიციებზე მუშაობდა. 2008-2010 წლებში, ნიკოლოზ ქურდიანი Bank Austria-ში, რომელიც „უნიკრედიტ გრუპში“ შედის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საცალო საბანკო ბიზნესის მიმართულებაში გაყიდვების უფროსი ექსპერტი იყო. ამ პოზიციაზე, ნიკა ქურდიანი თურქეთის, ყაზახეთის, უკრაინისა და სერბეთის ბაზრებზე იყო პასუხისმგებელი. 2010-2013 წლებში, იგივე მიმართულებით, ვიცე-პრეზიდენტის პოზიციაზე მუშაობდა და პარალელურად, ATF Bank-ის („უნიკრედიტ გრუპი“) საცალო-საბანკო ბიზნესს ხელმძღვანელობდა ყაზახეთში. ნიკა ქურდიანმა კავკასიის ბიზნეს-სკოლაში, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატი დაასრულა. მანამდე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, საერთაშორისო ეკონომიკაში მაგისტრის ხარისხი მოიპოვა.

დავით წიკლაურს საბანკო სფეროში მუშაობის 11-წლიანი გამოცდილება აქვს. ბოლო 7 წლის განმავლობაში იგი „დოიჩე ბანკში“ სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. 2007-2011 წლებში, „დოიჩე ბანკის“ ფინანსური ინსტიტუციების ასოცირებული ბანკირი იყო. 2011 წლიდან, „დოიჩე ბანკის“ კაპიტალის ბაზრებისა და ფინანსური ოპერაციების ჯგუფის ვიცე-პრეზიდენტის პოზიციაზე მუშაობდა. საბანკო კარიერა დავით წიკლაურმა 2004 წლიდან, თიბისი ბანკშო დაიწყო, სადაც ორი წლის მანძილზე, ინვესტორებთან ურთიერთობის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. დავით წიკლაურმა ლონდონის ბიზნესსკოლიდან, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი (MBA) მიიღო. მანამდე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, კავშირგაბმულობის ინჟინერიის სპეციალობაზე ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხები მოიპოვა.

საქართველოში ოქროს მოპოვება შემცირდა

რა პრობლემები შეექმნა „არ ემ ჯის“? — კომპანია მზადაა, ეკონომიკის ექსპერტთა შენიშვნები გაითვალისწინოს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივამ“ და „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ“, სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში“, ეკონომიკის ექსპერტთა კლუბის შეხვედრა გამართა. მთავარი თემა საქართველოში ოქროს მოპოვებისა და გადამუშავების დარგში არსებული პრობლემები იყო. ეკონომიკის ექსპერტებმა კომპანია „არ ემ ჯის“ საქმიანობაზე, ასევე წარმოებისა და ექსპორტის მოცულობის შემცირების ტენდენციაზე იმსჯელეს და ამ კლების მიზეზებიც განიხილეს.

ექსპერტთა კლუბის შეხვედრაზე, „საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივის“ წარმომადგენელმა, ექსპერტმა ლევან კალანდაძემ საინტერესო კვლევა წარადგინა. მასში დეტალურადაა განხილული, რა მიზეზით შემცირდა ოქროს მოპოვება-რეალიზაცია საქართველოში და რა პრობლემები შეექმნა კომპანია „არ ემ ჯის“. ლევან კალანდაძის განმარტებით, კომპანია „არ ემ ჯი“, საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი, სტრატეგიული მნიშვნელობის სამრეწველო ობიექტია. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის შენადნობების წარმოება და ექსპორტია. ექსპორტის მოცულობის მიხედვით, კომპანია ქვეყნის მასშტაბით მეორე ადგილზეა, ხოლო მისი წილი ჯამურ ექსპორტში 10%-ია. 2011 წლიდან, წარმოების მოცულობა საგრძნობლად შემცირდა, რაც ექსპორტზე გატანილი ოქროს შენადნობების მოცულობაზეც ნეგატიურად აისახა.

„წარმოების მოცულობა ერთი მხრივ, მადანში ოქროს შემცველობის კლებამ, ხოლო მეორე მხრივ, წარმოების მასშტაბის გაფართოების ხელისშემშლელმა ფაქტორებმა გამოიწვია. ეს დამატებითი შემაფერხებელი გარემოებაა, რაც კომპანიას ახალი ინვესტიციების განხორციელებაში ხელს უშლის. მიუხედავად იმისა, რომ 2011-2013 წლებში, წარმოებაში განხორციელებული ინვესტიციების ჯამური მოცულობა 470 000 000 ლარი იყო, კომპანიაში „არ ემ ჯი“ დღეს შექმნილი პრობლემები, გრძელვადიან პერსპექტივაში საინვესტიციო საქმიანობას შეაფერხებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ „არ ემ ჯი“ მსხვილი გადამხდელია, 2009-2013 წლებში, ამ კომპანიამ სახელმწიფო ბიუჯეტში, ჯამში, 361 000 000 ლარი გადაიხადა. თუმცა იმის გამო, რომ 2011 წლიდან, ოქროს შენადნობის წარმოება და რეალიზაცია შემცირდა, მხოლოდ 2013 წელს, კომპანიამ სახელმწიფო ბიუჯეტში 21 000 000 ლარი შეიტანა“, — განუცხადა „ვერსიას“ **ლევან კალანდაძემ**.

მისი თქმით, ქვეყნის მასშტაბით, „არ ემ ჯი“ ერთ-ერთი, მსხვილი დამსაქმებელია. ამ კომპანიაში 3 000-მდე ადამიანი მუშაობს და მათი 80% ქვემო ქართლის რეგიონის ადგილობრივი მოსახლეობაა. ლევან კალანდაძის განმარტებით, 2009-2013 წლებში, კომპანიამ თანამშრომელთა შრომით ანაზღაურებაზე 141 000 000 ლარი გამოყო.

„ეს პრობლემები საზოგადოებამ და ექსპერტებმა კი არა, სახელმწიფომ უნდა მოაგვაროს. სახელმწიფოს აქვს პასუხისმგებლობა, როგორც საზოგადოების, ასევე ინვესტორის წინაშე და ის, რომ ქვეყანაში ინვესტორებს პრობლემები ექმნებათ, სწორედ სახელმწიფოს ბრალია. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში რეციდივის სახეც კი მიიღო, რომ ამ ქვეყანაში ინვესტორებს პრობლემები ექმნებათ ენერგეტიკაში, ინფრასტრუქტურაში, გადაზიდვებში, მათ შორის, ოქროს გადამუშავებასა და მოპოვებაში. იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებამ მათი გადაჭრის გზებზე იფიქროს, ბაქანში ჩაკეტვის პოზიციას ამჯობინებს, რადგან ეს უფრო კომფორტულია მათთვის. ხელისუფლება ამ პრობლემებზე არ საუბრობს და რაც მთავარია, ამ კონკრეტული, პრობლემური „ქეისების“ მოგვარებას არც კი აპირებს. თუ ხელისუფლება სირაქლემას პოზაში ყოფნას განაგრძობს, დამერწმუნეთ, ხვალ საქართველოზე, როგორც ინვესტორებისთვის მიმზიდველ ქვეყანაზე საუბარი სრულიად ზედმეტი იქნება“.

„არ ემ ჯის“ შემთხვევაში, იმისათვის, რომ ოქროს მოპოვება და რეალიზაცია არ შემცირდეს, პრობლემის მოგვარების გზა ახალი მადნების ათვისებაა. კომპანიამ სახელმწიფო ლიცენზია მოიპოვა კიდეც ბოლნისის რაიონში, დაბა კაზრეთთან ახლოს მდებარე საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვზე. თუმცა იმის გამო, რომ 2006 წელს, კანონის დარღვევით, მაშინდელმა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა საყდრისი-ყაჩაღიანს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა, „არ ემ ჯის“ ამ ბორცვზე ოქროს მოპოვებითი სამუშაოები შეაჩერებინეს. ახლა სპეციალისტების შესაბამის დასკვნას ელოდებიან, რომელსაც საყდრისი-ყაჩაღიანის მომხრეებიცა და მოწინააღმდეგეებიც ენდობიან.

„ვერსიასთან“ საუბრისას ეკონომიკის ექსპერტმა **ირაკლი ლექვინაძემ** აღნიშნა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოს შესწავლაში „არ ემ ჯიმ“ თანხა უკვე გადაიხადა და კომპანიის მიერ დაქირავებულმა სპეციალისტებმა ეს საბადო შეისწავლეს. მისი თქმით, ახალი რესურსების მოსაძიებლად დამატებითი ინვესტიციებია საჭირო, ხოლო ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის უმთავრესი, საზოგადოების გაუცნობიერებლობაა: **„შესაძლოა, ბევრს პირადი ინტერესი აქვს, ზოგს კი პატრიოტული გრძნობა ამოძრავებს, მაგრამ ფაქტია, საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით, საზოგადოება ზუსტ ინფორმაციას არ ფლობს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ გარკვეული ძალები ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის პირად ინტერესებს გამოხატავენ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, გივი თარგამაძის განცხადებები საყდრისთან დაკავშირებით, ძალიან მენიშნა. ლოგიკურ კითხვას ვსვამ, მისთვის ეს თემა ახლა რატომ გახდა აქტუალური, ან მაშინ რატომ არაფერი უთქვამს, როდესაც ხელისუფლებაში იყო? აქედან გამომდინარე, ჩნდება ეჭვი, რომ ამ პროცესს კამპანიური ხასიათი აქვს და ამ ტიპის გაურკვევლობას ბოლო უნდა მოეღოს. არქეოლოგი ან გეოლოგი არ ვარ და შესაბამისად, იმის მტკიცებას არ დავიწყებ, არის თუ არა საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, მაგრამ ისტერია, რომელიც ამ პროცესს ახლავს, მიუღებელია. ზოგადად, საქართველოში მსხვილი პროექტების მიმართ, საზოგადოებას წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება აქვს, სამწუხაროდ, გარკვეულ ძალებს ამ ქვეყნის განვითარება არ სურთ. საყდრისის საბადო თუ გაჩერდება, ეს ბოლნისის რაიონის მოსახლეობისთვის დიდი დანაკლისი იქნება, რადგან საბადოზე ადგილობრივი მოსახლეობაა დასაქმებული, რომლებიც უმუშევრად დარჩებიან. რაც მთავარია, სახელმწიფო ბიუჯეტს შემოსავალი დააკლდება და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალიც საგრძნობლად შემცირდება“.**

ეკონომიკის ექსპერტი **დემურ გიორხელიძე** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ კომპანია „არ ემ ჯი-“ს, მთავრობის არასწორი გადაწყვეტილებების შედეგად შეექმნა პრობლემა: **„შეუძლებელია სახელმწიფომ ნებართვა გასცეს იქ, სადაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის და ზიანების საფრთხე არსებობს. ამ შემთხვევაში, კომპანია გაურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან სახელმწიფო ნებართვის შემდეგ, ინვესტორმა თანხის ხარჯვა დაიწყო. ახლა კი სამწუხარო რეალობის წინაშე აღმოჩნდა, როდესაც საზოგადოების გარკვეული ნაწილი, ამ საბადოზე მის საქმიანობას აპროტესტებს. თუ საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოზე ოქროს სერიოზული მარაგი მართლაც არსებობს, სახელმწიფომ ისეთი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, რომ კულტურული ძეგლიც შეინარჩუნოს და კომპანიას ამ მარაგის ათვისების საშუალებაც მისცეს“.**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ემზარ ჯგერენაიამ განაცხადა, რომ საქართველოში იმაზე მეტად დახურული და ტაბუდადებული თემა არ არსებობს, როგორიც „არ ემ ჯის“ საქმიანობაა. მისი თქმით, აუცილებელია, კომპანიამ საზოგადოებას გაცილებით მეტი ინფორმაცია მიაწოდოს: **„არ ვიცით, რა მარაგია საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვზე, ან რას მოვიპოვებთ. მეტიც, არც ერთი არგუმენტი არ არის დამაჯერებელი, თუ რატომ უნდა ავითვისოთ ეს ობიექტი. ამ საკითხზე საუბარი რომ უფრო გახსნილი და გამჭვირვალე იყოს, შესაძლოა, ხალხმა კომპანიის პოზიციაც კი გაიზიაროს. თუ ღიად ვისაუბრებთ, რა მადანია საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოზე, რა პერსპექტივა აქვს მის მოპოვებას და დიალოგსაც გავაღრმავებთ, კონსენსუსს გაცილებით ადვილად მივაღწევთ“.**

„არ ემ ჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა **ნატალი ნოზაძემ** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ კომპანიამ ახალი საკომუნიკაციო სტრატეგია შეიმუშავა. ამ სტრატეგიის მთავარი მიზანია, მაქსიმალურად გახსნილი და გამჭვირვალე იყოს, როგორც ეკონომიკური, ასევე გარემოსდაცვითი და საზოგადოებრივი ურთიერთობების მიმართულებებით. ამას კომპანიის ბოლოდროინდელი აქტივობებიც მოწმობს, როდესაც „არ ემ ჯიმ“ საქართველოს სხვადასხვა მედიასაშუალებების წარმომადგენლებისთვის საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვზე სპეციალური მედიატური გამართა: **„მესმის, გარკვეული პრობლემები არსებობდა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით იყო განპირობებული. თუმცა მზად ვართ, შესაძლებლობების ფარგლებში, ყველა დაინტერესებულ მხარეს შევხვდეთ და მათ კითხვებსაც ვუპასუხოთ. რაც შეეხება ამ შეხვედრას, ეკონომიკის ექსპერტების რეკომენდაციებს ჩავინიშნავთ, მენეჯმენტს წარვუდგენთ და გარწმუნებთ, რომ გარკვეული დოზით, ამას რეაგირება აუცილებლად მოჰყვება“.**

„სამართალმა იზეიმა და სასამართლომ დამოუკიდებელი გადაწყვეტილება მიიღო“

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულების — ბაჩანა ახალიას, ლევან ქარდავას, გიორგი მაზმიშვილისა და ამჟამად ძებნაში მყოფი მეგის ქარდავას მიმართ სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაასრულა.

„ამ საქმეზე გაიმართა 32 სასამართლო სხდომა, დაიკითხა ბრალდების 56 და დაცვის 28 მოწმე, მათგან 3 ბრალდებული. გამოქვეყნდა ბრალდების 2 მოწმის წერილობითი ჩვენება. თბილისის საქალაქო სასამართლომ ბაჩანა ახალაია უდანაშაულოდ სცნო მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებების საქმეზე. ბაჩანა ახალაია და მეგის ქარდავა სასამართლომ დამნაშავედ სცნო მოხელის მიერ ჯგუფურად ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი წამების ბრალდების საქმეზე, დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით თავისუფლებაშეზღუდული პირის მიმართ. ასევე ბაჩანა ახალაია ცნობილ იქნა დამნაშავედ ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით, ჩადენილი საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის და სხვისთვის რაიმე გამორჩენის და უპირატესობის მისაღებად სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდების საქმეზე, რამაც საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. ბაჩანა ახალაიასა და მეგის ქარდავას „ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონისა“ და შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების 7 წლისა და 6 თვის ვადით აღკვეთა განესაზღვრათ. მათვე აეკრძალათ სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება ახალაიას 3 წლით, ხოლო მეგის ქარდავას 2 წლისა და 3 თვის ვადით.

ბრალდებულები გიორგი მაზმიშვილი და ლევან ქარდავა გამართლდნენ მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდების საქმეზე, ჩადენილი ძალადობით და იარაღის გამოყენებით, რამაც ფიზიკური პირის უფლების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ხოლო ცნობილ იქნენ დამნაშავედ ჯგუფურად, ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის. სასჯელის სახედ და ზომად თითოეულს თავისუფლების 11 წლისა და 3 თვის ვადით აღკვეთა შეეფარდა“.

„საბედნიეროდ, სამართალმა იზეიმა და სასამართლომ დამოუკიდებელი გადაწყვეტილება მიიღო“, — ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ნავთლუღის გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილებას: **„კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ წინა ხელისუფლების დროს საქმე გვქონდა მკვლელობებთან, წამებასთან, ადამიანების ტანჯვასთან, გაუპატიურებასთან... მინდა, შევახსენო იმ ადამიანებს, რომლებიც ყოველდღიურად სტრესს და ქაოსს თესენ საზოგადოებაში — ხალხმა ძალიან კარგად დაინახა, რომ წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული დანაშაულებრივი რეჟიმი და სისტემა, რომელიც ებრძოდა საკუთარ მოქალაქეებს და ქვეყანას ანგრევდა, წარსულს ჩაბარდა. სასამართლოზე ზეწოლას ვერავინ განახორციელებს, იქნება ეს ხელისუფლების თუ ოპოზიციის წარმომადგენელი“.**

„ვერსიანიუსი“

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით „სუბუტექსი“ ამოიღო

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მინდია ჟ. ბათუმში დააკავეს. სამართალდამცველებმა მინდია ჟ-ს პირადი ჩხრეკისას 75 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსი“ და აბის ნატეხები ამოიღეს, რაც ექსპერტიზის დასკვნით 0,7243 გრ ბუპრენორფინს შეიცავს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც 8-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

„ვერსიანიუსი“



1. ხაზი, რომელიც დედამიწას შუაზე ყოფს
2. ლირიკული პოეზიისა და მუსიკის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში
3. წვრილი ნაწლავის ანთება
4. ნიჟარებისგან ასხმული მძივი ინდიელებში
5. ვრცელი უშენი მინდორი
6. წყალქვეშა მცენარე
7. განუწყვეტლივ მოძრავი კიბე
8. ფეხბურთის მეფე
9. წიგნების საბეჭდი წარმოება
10. თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენი შოედანი
11. ანაბარი საზღვარგარეთის ბანკში
12. ფიგურული სახაზავი
13. ინგლის. ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი
14. სახელ. მიერ დაწესებული ფულადი მოსაკრებელი
15. ალოეს ქართული სახელწოდება
16. ბანქოს კომბინაცია პოკერში
17. „ქვინის“ გიტარისტი ბრაიან ...
18. პერუს ფულის ერთეული
19. (ძვ.) სიცხიანზე სადები წამალი
20. ზეცის სატრფო, რომელიც ძროხად გადაიქცა
21. ძალის გასაზომი ხელსაწყო
22. აცტეკთა იმპერიის დედაქალაქი
23. ხრიკი, ფანდი
24. სამთო-სათხილამურო კომპლექსი ყაზახეთში
25. ლომი სიმბას სატრფო
26. ბიბლიური პატრიარქი
27. პანტომიმის მსახიობი
28. ძროხის ნობათი
29. ლუი არმსტრონგის მეტსახელი
30. დაცლილი ვაზნა
31. ძველი ხელნაწერი
32. თემურლენგის სახელი ევროპაში
33. დედამიწასთან უახლოესი ვარსკვლავი
34. ადმინისტ. ტერიტორიული ერთეული საბერძნეთში
35. რაჭის „დედაქალაქი“
36. (ძვ.) ვენეციის მმართველის ტიტული
37. ისლამის მეორე უწმინდესი ქალაქი
38. საპორტო ქალაქი ფინეთში
39. ქვეყანა სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთში
40. აშშ-ის პირველი ეროვნული პარკი
41. უფროსი მწყემსი
42. ვაშლის ჯიში
43. ველური ვაშლი
44. ცხენის, სახედრის ასაკიდი ტვირთი
45. მე-13 საუკუნის სპარსელი პოეტი
46. კონსტანტინე არსაკიძის მოფერებითი სახელი
47. მოგზაური ... ამუნდსენი
48. რუმინეთის ეროვნული ვალუტა
49. ჭადრაკის მფარველი ქალღმერთი
50. დედალი ღორი
51. სამგლოვიარო ფერი
52. თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა
53. ყველაზე დიდი ანტილოპა
54. რაჭვული კილოსთვის დამახასიათებელი ნაწილაკი
55. უკრაინის პარლამენტი
56. მარჯვნის პოლიპი
57. ღვინის „მოფერებითი“ სახელი
58. იაპონური თეატრის ერთ-ერთი სახეობა
59. ინგლისელი მწერალი ივლინ ...
60. ხაჭაპურის სახეობა
61. V თვე საფრანგეთის რესპუბლიკურ კალენდარში
62. ამერიკული თოჯინა
63. ევროპის ჯუჯა სახელმწიფო ...-მარინო
64. მოსაცდელი დარბაზი თეატრში
65. ზღვის პატარა ყურე
66. უბედურების საერთაშორისო სიგნალი
67. მელა „ოქროს გასაღებში“
68. სამხრეთის სლავების საფერხულო ცეკვა
69. თბილისის უბანი
70. ხშირი, დაბურული ტყე
71. ვულკანური წარმოშობის ფოროვანი ქანი
72. ... ბენდერი „12 სკამში“
73. თავისუფლების კუნძული
74. კიმონოს შესაკრავი ქამარი
75. იაპონელი მწერალი აბე ...
76. პარტია ჩოგბურთის თამაშში
77. მუსიკალური გამის III ნოტი
78. გიორგი საკაძის მმობლიური სოფელი
79. სოფელი ყაზბეგის რაიონში
80. ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი
81. ქაჯანას ნამდვილი სახელი
82. მეფე ოპერაში „აბესალომ და ეთერი“
83. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მეკარე
84. ტიბეტური ხარი
85. საქონლის საერთო წონა (ჭურჭლიანად, შეფუთვიანად)

სახლს „აიფონში“ ცვლის

აშშ-ში, დეტროიტში მცხოვრებმა მამაკაცმა გადაწყვიტა, უძრავი ქონება გასაყიდად გაეტანა. სახლი გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ გაიყიდა და მეპატრონემ მისი „აიფონზე“ გადაცვლა განიზრახა. სახლი ორსართულიანია, სამი საძინებლით, თუმცა, სავალალო მდგომარეობაშია, რადგან ბოლო წლებში იქ არავის უცხოვრია. სახლის მფლობელმა უძრავი ქონება ოთხი წლის წინ 41 ათას დოლარად შეიძინა იმ იმედით, რომ გააქირავებდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა — გაკოტრებულ დეტროიტში ცხოვრების მსურველი არ გამოჩენილა. პატრონს ისღა დარჩენოდა, სახლი თავიდან მოეშორებინა. როგორც გაირკვა, შენობას უკვე გამოუჩნდა მყიდველი, ერთ-ერთ შტატში მცხოვრები ქალბატონი მის შეძენას „აიფონის“ სანაცვლოდ აპირებს. მას შემდეგ, რაც დოკუმენტებს ოფიციალურად გააფორმებენ, სახლი მის საკუთრებაში გადავა, ძველ მფლობელს კი ისღა დარჩენია, ახალი მოდელის გამოსვლამდე, „აიფონ-6“-ით იამაყოს.

სასტიკი მედდა პაციენტებს ხოცავდა

იტალიის პოლიცია 38 ადამიანის განზრახ მკვლელობაში მედდას ადანაშაულებს, რომელიც რავენას პროვინციაში, ლუგოს საავადმყოფოში მუშაობდა. სამართალდამცავების თქმით, პაციენტები ძალიან აღიზიანებდნენ 42 წლის დანიელა პოჯიალის, რის გამოც მათ კალიუმის ქლორიდის ისეთ დოზას უკეთებდა, ავადმყოფებს გული უჩერდებოდათ. ამის შემდეგ მედდა ფოტოებს იღებდა საკუთარი მსხვერპლის ფონზე. როგორც მედია იუწყება, დანიელას წინააღმდეგ საქმე მას შემდეგ აღიძრა, რაც მოულოდნელად, მისი პაციენტი, 78 წლის ქალბატონი გარდაიცვალა. იგი საავადმყოფოში მსუბუქი დაავადებით მოხვდა და სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა. სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლები ამბობენ, რომ მედდას ძალიან შურისმაძიებელი ხასიათი აქვს და მართლაც შეეძლო ნებისმიერი მეთოდის გამოყენება იმ პაციენტების წინააღმდეგ, ვინც აღიზიანებდა. პოლიციელებმა პოჯიალის მობილურში გარდაცვლილი ავადმყოფების ფოტოებიც აღმოაჩინეს, თუმცა გამოძიება გარკვეულ სიძნელესაც აწყდება — კალიუმი სწრაფად გამოიდევნება ორგანიზმიდან და ექსპერტებს მისი აღმოჩენა უჭირთ.

სუდოკუ ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

		8	7				4	
4				2				3
3			4		5	9		
				5	1	7	3	
	1	6	3	8				
		4	6		3			5
7				4				2
	8				2	4		

სუდოკუ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8				7			6	
2						3		
	7		3	1				8
5			7			2		3
1								7
7		3			9			6
6				3	8		9	
		7						1
	8			2				4

სუდოკუ ᲠᲗᲣᲚᲘ

4				9	8		6	5
	6		4			1		
		9	7	6				
		4						3
	8	6		4		2	1	
3						8		
				8	4	7		
		3			1		4	
2	4		6	7				1

სუდოკუ ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲛᲘᲠᲗᲣᲚᲘ

	8		9				6	
	3	7		6				
9			2	8			3	
		8			2	3		
	9			3			8	
		1	5			4		
	7			2	9			1
				7		6	9	
	4				6		2	

ყავაში მკვდარი თაგვი იპოვა

კანადის ქალაქ ფრედერიკტონის მცხოვრებმა მამაკაცმა, რონ მორაიშმა „მაკდონალდსში“ შეძენილ ყავაში მკვდარი თაგვი აღმოაჩინა. ყავას ყოველთვის ამ კაფეში მყიდულობ და ბოლო ყლუპზე ჭიქას თავსახურს ვხდი. ამჯერადაც ასე მოვიქეცი და იქ მკვდარი თაგვი დამხვდა, — აცხადებს დაზარალებული, რომელიც სასმელის მიღების შემდეგ შეუძლოდ გახდა. შოკირებულმა მომხმარებელმა უკვე უჩივლა „მაკდონალდსის“ ადგილობრივ წარმომადგენლობას. საინტერესოა, რომ შემთხვევის ადგილზე მისული სანიტარული სამსახურის წარმომადგენელთა განცხადებით, ობიექტი მათ ცოტა ხნის წინ შეისწავლეს და იქ მღრღნელების არანაირი კვალი არ აღმოუჩენიათ. კაფეს ხელმძღვანელობაც, თავის მხრივ, შიდაგამოძიებას ატარებს და პირობას დებს, რომ საქმეს გულდასმით შეისწავლის და შესაბამის რეაგირებას მოახდენს.

შხაპი წყლის გარეშე

სამხრეთაფრიკელმა სტუდენტმა კეიპტაუნის უნივერსიტეტიდან ლუდვიგ მარიშეინმა გელი შექმნა შხაპისთვის, რომელსაც წყლის გამოყენება არ სჭირდება. ახალი საშუალება კანის დეზინფიცირებას ისევე ახდენს, როგორც სრულყოფილი ბანაობა. გელი, რომელსაც DryBath უწოდეს, კლავს მიკრობებს, ატენიანებს კანს და მას სასიამოვნო სურნელს ანიჭებს. მარიშეინმა უკვე დააპატენტა საკუთარი გამოგონება და მის გამო ჯილდოც — ლობალ შტუდენტ ნტრეპრენეურ წარდს მიიღო. ლუდვიგი უახლოეს მომავალში საკუთარი კომპანიის დაფუძნებას და გამოგონების წარმოებაში ჩაშვებას აპირებს. პროდუქცია კი ღარიბ ქვეყნებზე იქნება გათვლილი.

ყაბები ნიჭანი სისხლის სანაცვლოდ

ამიერიდან, ჩინელი მოსწავლეების მშობლებს აღარ დასჭირდებათ შვილების რეპეტიტორებთან მომზადება — სკოლაში კარგი ნიშნის მისაღებად მხოლოდ სისხლის გაღებაა საჭირო. საქმე ისაა, რომ ჩინეთის ერთ-ერთი პროვინციის ხელმძღვანელობამ წინადადებით მიმართა მშობლებს — თუკი სისხლს გაიღებენ, სანაცვლოდ მათ შვილებს გამოცდებზე ქულებს მოუმატებენ. ამ შემთხვევაში სულ ცოტა, 4 ლიტრი სისხლის ჩაბარებაა საჭირო, თუ ვინმე 6 ლიტრს გაიღებს, მის შვილს 2 ქულას მოუმატებენ, ხოლო თავზეხელაღებული მშობელი, რომელიც 8 ლიტრამდე ავა, საკუთარ პირმშოს 3 ქულით დაეხმარება. გარდა ამისა, თავად სისხლის დონორები უზრუნველყოფილნი იქნებიან სამედიცინო მომსახურებით, უფასო მგზავრობით და სხვადასხვა ფულადი პრიზით წახალისდებიან. აღსანიშნავია, რომ ადამიანის სხეული 5-დან 5,6 ლიტრამდე სისხლს შეიცავს, ადამიანის წონის მიხედვით. 4 ლიტრი რომ გაიღოს, დონორს ამისთვის ხუთი წელი დასჭირდება, თუკი სისხლს წელიწადში ორჯერ ჩააბარებს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6	1	9	8	7	5	4	3	2
4	3	5	9	6	2	7	1	8
7	2	8	3	1	4	9	6	5
3	9	2	7	8	6	5	4	1
1	8	7	4	5	3	6	2	9
5	6	4	2	9	1	3	8	7
2	7	3	1	4	9	8	5	6
9	5	1	6	3	8	2	7	4
8	4	6	5	2	7	1	9	3

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

1	2	3	7	5	9	4	8	6
7	6	9	8	4	3	5	2	1
5	4	8	2	1	6	3	9	7
9	7	2	6	3	4	1	5	8
8	1	6	9	2	5	7	4	3
4	3	5	1	8	7	2	6	9
6	9	1	5	7	2	8	3	4
3	5	7	4	6	8	9	1	2
2	8	4	3	9	1	6	7	5

ᲠᲗᲣᲚᲘ

7	4	3	8	2	6	1	9	5
9	6	5	7	1	3	2	8	4
2	1	8	5	9	4	7	3	6
3	2	7	4	6	1	9	5	8
5	9	6	3	8	2	4	7	1
4	8	1	9	7	5	3	6	2
1	5	4	6	3	7	8	2	9
8	3	2	1	5	9	6	4	7
6	7	9	2	4	8	5	1	3

ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲛᲘᲠᲗᲣᲚᲘ

5	4	9	7	8	2	3	6	1
2	1	6	3	5	4	9	7	8
3	8	7	1	6	9	5	4	2
7	3	1	5	4	8	2	9	6
9	6	8	2	3	7	4	1	5
4	2	5	6	9	1	8	3	7
1	7	4	9	2	5	6	8	3
8	5	3	4	1	6	7	2	9
6	9	2	8	7	3	1	5	4

მე-10 გვერდი: 1. ევროპა; 2. ვოლიერი; 3. ოსვალდი; 4. არმადა; 5. რუდიმენტი; 6. ალჟირი; 7. პლევრა; 8. ოიდიპოსი; 9. აივანი; 10. ადაჟიო; 11. იშიასი; 12. ნარგილე; 13. ქამა; 14. „ფეოლა“; 15. ტვიდი; 16. სმირნა; 17. აგორა; 18. რიდი; 19. ინა; 20. აიშე; 21. ფაცხა; 22. იკაროსი; 23. ძანეტი; 24. ტაიგა; 25. იუბილე; 26. ბორჯღალოსნები; 27. ლაბირინთი; 28. ისარა; 29. ასპინძა; 30. მაიკო; 31. ვისკი; 32. ტატამი; 33. რაბლე; 34. ღორი; 35. იკი; 36. უბანი; 37. იელი; 38. ხასა; 39. ჯოან; 40. ლევ; 41. სერ; 42. ბიუსტი; 43. ჯიქი; 44. მეტრი; 45. მამაი; 46. ტლუ; 47. ტაო; 48. ბეკინა; 48. რკო; 50. ქცია; 51. აია; 52. ონეგინი; 53. კლინიკა; 54. ინო; 55. ანი; 56. ლოტრეკი; 57. ელე; 58. მენისკი; 59. ვისოლი; 60. იამბი; 61. ჰაინე; 62. ერგი; 63. ბონზა; 64. სრა; 65. ვაკე; 66. ნინძა; 67. კორძი; 68. მარაო; 69. ტიფი; 70. კენიგსბერგი; 71. არული; 72. ბორანი; 73. ეოსი; 74. უნდინა; 75. აგა; 76. ახო; 77. „რენო“; 78. მადა; 79. „დაიჰაცუ“; 80. კვარტა; 81. დონ; 82. ლეონი; 83. ძე; 84. კუჭი; 85. მულინე; 86. მიო; 87. ანკლავი; 88. ძუა.

მე-12 გვერდი: 1. ვიკიპედია; 2. მანდრაგორა; 3. ვაკუუმი; 4. კაბესტანი; 5. პონჩო; 6. დუუმვირატი; 7. არიადნე; 8. ონი; 9. იკებანა; 10. იაგანი; 11. ნიდერლანდი; 12. ჰონსიუ; 13. უნისონი; 14. აისბერგი; 15. ფოსო; 16. ამატი; 17. მტილი; 18. ოლიფა; 19. ასი; 20. ბადაგი; 21. ვადა; 22. ამინ; 23. დღე; 24. ღანირი; 25. სენა; 26. ატლანტი; 27. ტონზურა; 28. რეესტრი; 29. ბია; 30. ამპერი; 31. ტარო; 32. ტერცია; 33. რეგალია; 34. „სელტა“; 35. ძნა; 36. ციდა; 37. ოლდ; 38. ნიგოზი; 39. სუ; 40. ტარა; 41. ილი; 42. ცაო; 43. აიაზმა; 44. ზიკო; 45. ზმნა; 46. ური; 47. უბე; 48. პერი; 49. ანტონიონი; 50. მაკალოუ; 51. „დდტ“; 52. ეტოო; 53. „აიდა“; 54. ოყნა; 55. იუვე; 56. ბუ; 57. „ბაიერი“; 58. ერგი; 59. „გომი“; 60. ოყა; 61. დელი.

პენსიონერთა ორგია ტრაგედიით დასრულდა

ბელგიის ქალაქ შარლერუაში გამართული გრანდიოზული ორგია, სახელწოდებით 50 shades of Karolos, ტრაგედიით დასრულდა. ინფორმაციას ადგილობრივი პრესა ავრცელებს. ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მხოლოდ 65 წელს გადაცილებულ ადამიანებს შეეძლოთ, რამდენიმე დღის წინ გაიმართა. სექსუალურ ორგიაში 200-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა, თუმცა, ბევრმა ვერ გაუძლო დატვირთვას. როგორც პრესაში წერენ, ორგიის ბოლოს 17 პენსიონერის ჰოსპიტალიზება გახდა საჭირო. მათგან შვიდი გარდაიცვალა — ხუთი გულის მწვავე უკმარისობით, ორს კი ფილტვების შეშუპება დაემართა. ორგანიზატორების ჩანაფიქრით, ღონისძიება ბელგიაში ყველაზე მასობრივი, ევროპაში კი ასაკოვანი ადამიანების უდიდესი ორგია უნდა ყოფილიყო.

„ჯორჯიან თაიმსის“ ორგანიზებით XV ტრადიციული ბიზნესდაჯილდოების ცერემონია გაიმართა

რუსუდან შელია
557-100-768

22 ოქტომბერს, ფუნიკულიორის კომპლექსის წვეულებათა დარბაზში, მედიაჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსისა“ და საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევის კომპანია „გორბის“ ორგანიზებით XV ტრადიციული ბიზნესდაჯილდოების ცერემონია გაიმართა. მალხაზ გულაშვილის განცხადებით, პროექტის მიზანია ეროვნულ ბიზნესში ყველაზე წარმატებული დარგების განსაზღვრა, ბიზნესს, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის დიალოგის მხარდაჭერა, ქართული ბიზნესის ახალი იმიჯის ჩამოყალიბება, ახალი პერსპექტიული კომპანიების წარმოჩენა, საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენების დაახლოება და ქართული ბიზნესის მიმართ მსოფლიო ბიზნესსაზოგადოების ყურადღების მიპყრობა.

ცერემონიალში 30 ბიზნესკომპანია მონაწილეობდა, რომლებიც წინასწარი გამოკითხვით შეირჩა, 2013-2014 წლების გამარჯვებული კი „საქართველოს ბანკი“ გახდა, რომელიც წარმატებულ კომპანიად ფარული კენჭისყრით გამოვლინდა. მთავარი პრიზი „საქართველოს ბანკს“ გადაეცა, დანარჩენმა კომპანიებმა სხვადასხვა ნომინაციაში გაიმარჯვეს. ეს ღონისძიება 1995 წლიდან ტარდება და მიმართულია ქართული ბიზნესის განვითარებისა და სტიმულირებისკენ. ამ ეტაპზე გამოვლენილი საუკეთესო 30 კომპანიის სია ასეთია: 1. „ბაზისბანკი“, 2. „გალფი“ 3. „გეოპლანტი“, 4. ვაგონმშენებელთა ჰოლდინგი, 5. „ვითიბი ბანკი“, 6. „ვისოლ ჯგუფი“, 7. „თეგეტა მოტორსი“, 8. „თიბისი ბანკი“, 9. „კოდა“, 10. „ავერსი“, 11. „ლიბერთი ბანკი“. 12. ლუდსახარში „ზედაზენი“ 13. „ნიკორა“ 14. „ორბი ჯგუფი“, 15. „პეტროკას ენერჯი გრუპი“, 16. „პროკრედიტ ბანკი“, 17. „პსპ ჯგუფი“, 18. რუსთავის აზოტი, 19. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, 20. „სარაჯიშვილი“, 21. „საქართველოს ბანკი“, 22. საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი, 23. „სოკარ ჯორჯია გაზი“, 24. „ჯეოსელი“, 25. „ჯეოსთილი“, 26. „ჯორჯიან ამერიქან ელოის“, 27. DWC-გომი, 28. GWP-ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ, 29. NCC, 30. RMG.

მხარდაჭერისთვის ჯილდო „ვერსიასაც“ გადაეცა

საღამომ საკმაოდ სასიამოვნო ვითარებაში, კლასიკური მუსიკის ფონზე ჩაიარა, რომელსაც ბიზნესისა და მედიის წარმომადგენლებთან ერთად, თბილისის მერი დავით ნარმანია, ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გიორგი ვოლსკი, „კონსერვატორი“ ზვიად ძიძიგური და სხვა პოლიტიკოსებიც ესწრებოდნენ.

მედიაჰოლდინგმა „ჯორჯიან თაიმსი“ წლების განმავლობაში ტრადიციული ბიზნესრეიტინგისთვის გაწეული აქტიური მხარდაჭერისთვის გაზეთი „ვერსიაც“ დააჯილდოვა. „ვერსია“ მადლობას უხდის ბიზნესის ეროვნული დაჯილდოების ორგანიზატორებს და მომავალ საქმიანობაში წარმატებებს უსურვებს.

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

125
დაცვის პოლიცია

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125
www.125.ge

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.